# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი. 2023 წ. №120 (9652) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


ირაკლი გოგავა:

# ევროკავშირი გვატყუებს,

## ამიტომაც ევროკავშირის პერსპექტივა ჩვენთვის არარეალისტურია!..



იხ. 3 გვ.

ევროკავშირს სურს, რომ იყოს მუდმივი დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის და ამის გამო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის საერთოდ არაფერს არ აკეთებს. გვამტკიცებს იმით, რომ არაღიარების პოლიტიკას ატარებს.



ზელენსკი:

## უკრაინა აგრესორი ქვეყნის გემებს ოკუპირებული აფხაზეთის გაზაზეც მიწვდება

უკრაინის პრეზიდენტმა, **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** განაცხადა, რომ რუსეთის საზღვაო ფლოტი ოკუპირებული ყირიმიდან გარბის, თუმცა უკრაინა აგრესორი ქვეყნის გემებს ოკუპირებული აფხაზეთის ბაზაზეც მიწვდება.

**„ცოტა ხნის წინ რუსეთის ლიდერი იძულებული გახდა გამოეცხადებინა შავი ზღვის ფლოტის ახალი ბაზის შექმნა – უფრო სწორად მისი ნარჩენებისთვის – საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ანუ (შავი) ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მაქსიმალურად შორს უკრაინული რაკეტებისა და საზღვაო დრონებისგან, მაგრამ ჩვენ მათ ყველგან მივწვდებით“**, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

ომარ მარგველაშვილი:



## დედაქალაქზე დღენიადაგ მზრუნველი მერი

5









## მთავარი მწამებლების გაფარჩაკებული პარტია

4

სოფო ჯაფარიძის ამარა დარჩენილი საწყალი სააკაშვილი, გაბრაზებული კეზერაშვილი და „ლიდერობისთვის“ განწირული გვარამია

ნუგზარ ფოფხაძე:



6

...მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, მით უმეტეს, ცრუპენტელობას და უტიფრობას!!!

არ შევეხები მის ანტისაიმპიჩმენტო გამოსვლას პარლამენტში. მხოლოდ ერთ წატრაბახებაზე ვრეაგირებ: მე გავიყვანეო რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოდან!..

## არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

„ქვათა ღაღადი“

## „რაც ამ კოშკს დამართეს, სისხლის სამართლის დანაშაულია“

7



## ქოროღოს ციხის დანგრევა მხოლოდ უცხოელმა გაიგო?



„ხალხის ძალა“:

# ევროკავშირის მიერ შექმნილი კრიზისით ვერ ისარგებლეს!

## ტვინისგან დაცლილი ოპოზიციის შედეგია თუ ხელისუფლების გამჭრიახობის?!

**რადიკალურმა ოპოზიციამ რატომღაც, გადაწყვიტა, საზოგადოებისთვის მთელი რიგი აღიარებითი ჩვენებები მიეცა. რამდენიმე რადიკალმა გულახდილად აღიარა, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას არ ემხრობა,** – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ განცხადებაშია ნათქვამი.

„ხალხის ძალის“ განცხადებით, ამას დაემატა ხათუნა სამნიძის აღიარება იმის შესახებ, რომ კოლექტიური ნაცმოძრაობის წარმომადგენლები ევროპაში კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ ლობირებდნენ, რასაც ხელისუფლება თვეების განმავლობაში ამტკიცებდა.

მათივე განმარტებით, ყველაზე გამორჩეული აღიარება კი, თამარ ჩერგოლეიშვილს და შესაბამისად, გიგა ბოკერიას ეკუთვნით.

* * *

**„ყველაზე გამორჩეული აღიარება კი, თამარ ჩერგოლეიშვილს და შესაბამისად, გიგა ბოკერიას ეკუთვნით, რომლებმაც განაცხადეს, ტვინისგან დაცლილმა ოპოზიციამ „ევროკავშირის მიერ შექმნილი კრიზისით“ სარგებლობა ვერ მოახერხაო. ევროკავშირის მიერ შექმნილი კრიზისით ვერსარგებლობა ტვინისგან დაცლილი ოპოზიციის შედეგია თუ ხელისუფლების გამჭრიახობის, ეს ცალკე საკითხია.**

**ჩვენ უფრო მეორე ვერსიისკენ ვიხრებით, თუმცა, ერთი მეორეს საერთოდ არ გამორიცხავს. აქ მთავარი ისაა, რომ ორმა წარჩინებულმა უცხოელმა აგენტმა ზუსტად ის აღიარა, რასაც ჩვენ ამდენი ხნის მანძილზე ვამტკიცებდით – 2021 და 2022 წლის კრიზისები სწორედ ევროკავშირის ხელით შეიქმნა. ყველას გვახსოვს, როგორ უწოდეს ჩვენმა „დაუძინებელმა მეგობრებმა“ პოლიტიკური კრიზისი ოპოზიციის საპარლამენტო საზოტაჟს, რითაც ხელისუფლება აიძულეს, 43-პროცენტიან ბარიერს დათანხმებოდა და რიგგარეშე არჩევნების რისკზე წასულიყო.**

**როდესაც 2021 წლის გეგმა ჩავარდა, 2022 წელს მათ უკვე კრიზისის ახალი ინსტრუმენტი გამოიგონეს. უკრაინაში ომის დაწყებიდან ოთხი დღის თავზე ომში გახვეულ ქვეყანას ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე განაცხადის შეტანა შესთავაზეს. ეს ყველაფერი კი იმით გაგრძელდა, რომ უკრაინასა და დსთ-ს წევრ მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მისცეს, საქართველოს კი – არა, რაც დღემდე რადიკალური ოპოზიციისთვის რადიკალიზმისა და პოლარიზაციის გაღვივების ერთადერთ ეფექტურ ხელოვნურ ინსტრუმენტად რჩება. ბოკერიასა და ჩერგოლეიშვილს ამ აღიარებისთვის ჩვენი დიდი მადლობა ეკუთვნით.**

**მათ იმაშიც ვეთანხმებით, რომ ოპოზიციამ ევროკავშირის მიერ შექმნილი კრიზისით სარგებლობა ვერ შეძლო, ანუ ეს კრიზისი უკვე ჩავლილი ამბავია და თუ საქართველოს დეკემბერში კანდიდატის სტატუსი მიენიჭება, ეს მხოლოდ იმის გამო მოხდება, რომ კრიზისის ამ ინსტრუმენტმა თავისი თავი უკვე ბოლომდე ამოწურა“,** – აცხადებენ „ხალხის ძალაში“.

მათივე თქმით, აქვთ სარწმუნო ინფორმაცია, რომ საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება უკვე საბოლოოდ გადაწყდა.

**„გვაქვს სრულიად სარწმუნო ინფორმაცია, რომ საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება უკვე საბოლოოდ გადაწყდა. სწორედ ამის გამო იკრიბებიან სალომე ზურაბიშვილთან კოლექტიური ნაცმოძრაობის სხვა წარმომადგენლები, რომ უკვე გადაწყვეტილი საკითხი როგორმე მას მიაწერონ.**

**დასასრულ, გვინდა დავსვათ ნახევრად რიტორიკული შეკითხვა, რომელსაც ბოკერიამ და ჩერგოლეიშვილმაც შეიძლება, გასცენ აღიარებითი პასუხი – რატომ ქმნის ევროკავშირი კრიზისებს იმისათვის, რომ ხელისუფლებაში ტვინისგან,სინდისისგან და სამშობლოს სიყვარულისგან დაცლილი პოლიტიკოსები მოაბრუნოს? დარწმუნებული ვართ, რომ ეს ყველაფერი ქართველი ხალხის მიმართ კეთილი განზრახვით არ კეთდება“,** – ნათქვამია „ხალხის ძალის“ განცხადებაში.

---

## ირაკლი კობახიძე: „ნაცმოძრაობა“ დაშლილია და ეს ძალიან კარგია!



**მელიას უნდა რომ მაინცდამაინც გარიცხონ პარტიიდან, თავმოყვარეობის საკითხია,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა. მისი თქმით, „ნაცმოძრაობა“ დაშლილია, რაც კარგია.

**„რატომ უნდა გინდოდეს მაინცდამაინც გარიცხვა, როცა შეგიძლია, შენ თვითონ დატოვო ის პარტია, სადაც ხაზეიშვილთანაც კი წააგე თავმჯდომარეობის არჩევნები. ეს არის მათი საქმე. რაც მთავარია, „ნაცმოძრაობა“ დაშლილია, კიდევ უფრო მეტად იშლება და ეს არის კარგი იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში ჩვენ მომდევნო პარლამენტში მივიღოთ ისეთი პოლიტიკური სპექტრი, რომელიც წაადგება ჩვენი ქვეყნის განვითარების ინტერესებს“,** – განაცხადა კობახიძემ.

## შალვა პაპუაშვილი: ვთხოვ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, ჩემს კაბინეტთან დადგნენ, რათა ყველამ დაინახოს, ვისთან გვაქვს საქმე!

**ერთი კვირის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები შეხვედრას მითანხმებდნენ, მათ ყოველდღე შეხვედრას ვუნიშნავდი და შემდეგ გადაიფიქრებდნენ, შეხვედრაზე არ მოდიოდნენ, მათ ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს და რა თქმა უნდა, დავუდასტურე,** – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.



პაპუაშვილის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს თუ რაიმეს თქმა უნდათ პარლამენტის თავმჯდომარისთვის, ამის შესაძლებლობა აქვთ.

**„რაიმეს თქმა თუ უნდოდათ, მობრძანდნენ და მითხრან. მეტი რა უხერხულობა უნდა შექმნან, რასაც ისინი საკუთარ თავს უქმნიან, როცა იმ ადამიანს, მიხეილ სააკაშვილს ექომაგებიან, რომელსაც ამ ქვეყნის გადაბრუნება უნდოდა. საქართველოს ყოფილი მოქალაქე ქვეყანაში შემოიპარა და რევოლუციური პროცესების განვითარებას ცდილობდა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ორგანიზებით. ხალხი, რომელიც ექომაგება და რომლის ლიდერია ადამიანი, რომელიც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა საქართველოში შემოაპარეს, მათ ვის რა უხერხულობა უნდა შეუქმნან? – პირიქით, მათ ძალიან ვთხოვ, ჩემი კაბინეტის შემოსასვლელთან დადგნენ, რათა ყველამ დაინახოს, ვისთან გვაქვს საქმე – იმ ხალხთან, ვინც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესებს ემსახურება. კარებთან დგომა საჭირო არ არის შემოვიდნენ და დავილაპარაკებთ“,** – განაცხადა პაპუაშვილმა.

## კახა კალაძე: სტატუსის წინააღმდეგნი არიან „ნაციონალური მოძრაობა“ ვაშაძესთან ერთად, „ლელო“ და გვარამია...



**იგივე მდგომარეობა და ვითარება იყო, როცა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება, დღესაც, სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში მოიძებნებიან ისეთი პარტიები, ისეთი პოლიტიკოსები, რომელიც დადიან და აქვთ მცდელობა იმისა, რომ ქვეყანამ არ მიიღოს სტატუსი,** – ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ გუშინ განაცხადა.

მისი თქმით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომელია ის კონკრეტული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქვეყნის ევროპულ მომავალს და ქვეყნის განვითარებას.

**„ეს არის სამწუხარო რეალობა. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამაზე და ეს პროცესი დღეს არ დაწყებულა. იგივე მდგომარეობა და ვითარება იყო, როდესაც ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ასოცირების ხელშეკრულებას მოეწერებოდა ხელი და დღესაც, სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში მოიძებნებიან ისეთი პარტიები, ისეთი პოლიტიკოსები, რომელიც დადიან და აქვთ მცდელობა იმისა, რომ ქვეყანამ არ მიიღოს სტატუსი.**

**პირდაპირ უნდა ვთქვათ, ვინ არიან ეს ადამიანები, ესენი არიან „ნაციონალური მოძრაობა“ ვაშაძესთან ერთად, ეს არის „ლელო“ და ეს არის გვარამია, კონკრეტული სახელებით და გვარებით ვამბობ. ჩვენც გვაქვს ეს ინფორმაცია, ჩვენი უცხოელი მეგობრები ამასთან დაკავშირებით პირდაპირ გვესაუბრებიან, ალბათ, ქალბატონი სამნიძეც დაასახელებს და დაადასტურებს, ვინ არიან ეს ადამიანები, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ეს ყველაფერი, რომელია ის კონკრეტული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქვეყნის ევროპულ მომავალს, ქვეყნის განვითარებას.**

**შენ შეიძლება, იყო დღეს ოპოზიციაში და რაღაცაში არ ეთანხმებოდე ხელისუფლებას, გქონდეს პოლემიკა, განსხვავებული აზრი, მაგრამ, როდესაც საუბარია ევროპულ მომავალზე, ქვეყნის განვითარებაზე და შენ ყველაფერ ამას ეწინააღმდეგები, ხელს უშლი, ეს არის ძალიან დიდი ბოროტება და მავნებლობა...**

## ლევან დავითაშვილი: დღეს თბილისში „აბრეშუმის გზის ფორუმი“ იხსნება

**თბილისი არის ის ნეიტრალური, მიუკერძოებელი პლატფორმა, ადგილი, სადაც ქვეყნებს შეუძლიათ, ერთმანეთს შეხვდნენ, ისაუბრონ მშვიდობაზე, თანამშრომლობასა და განვითარებაზე. აბრეშუმის გზის ფორუმიც ამის ნაწილია,** – ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა ფორუმში სომხეთის და აზერბაიჯანის მონაწილეობასთან დაკავშირებით განაცხადა.

ამასთან, დავითაშვილის თქმით, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმში“ მონაწილეობას მიიღებენ ბალკანეთის წარმომადგენლები და ევროინტეგრაციის გზაზე თანამშრომლობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

**„ეს არის შეხვედრის ადგილი, სადაც ჩვენი ორი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის, მეზობელი ქვეყნების ხელმძღვანელი პირები ჩამოდიან და ხვდებიან, მონაწილეობენ ფორუმში, რაც ვფიქრობ, კიდევ ერთხელ დამადასტურებელია ჩვენი როლის და იმ პოზიციის, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას უკავია, მეგობრული პოზიცია მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით და ჩვენი ინტერესია, რომ ხელი შევუწყოთ სამშვიდობო პროცესს სამხრეთ კავკასიაში, ასევე, ხელი შევუწყოთ ეკონომიკურ კავშირებს, ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.**

**რა თქმა უნდა, ჩვენ გვყავს ასევე ბალკანეთის წარმომადგენლები და იცით, რომ დღეს გავდივართ ევროპული ინტეგრაციის საინტერესო გზას, როდესაც ბალკანეთის და საქართველოს, ასევე ასოცირებული ტრიოს ქვეყნები ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოების პროცესში იმყოფებიან. ჩვენ ერთიანი დღის წესრიგი გვაქვს ევროპაში სრულუფლებიანი, სრულყოფილი წევრობის და ამ მხრივ თანამშრომლობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია“,** – განაცხადა ლევან დავითაშვილმა. **26-27 ოქტომბერს საქართველო „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს“ უმასპინძლებს. ფორუმი წელს მეოთხედ იმართება.**



**პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი ირაკლი გოგავა გამოდის ინიციატივით, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის თანამონაწილეობით შეიქმნას სამხრეთ კავკასიური ფორმატი, სადაც ყველასთან თანასწორი ურთიერთობა იქნება მისაღები, მხოლოდ ერთი რამ იქნება შესასრულებელი – სამხრეთ კავკასიიდან არავის მიმართ საფრთხე არ უნდა მოდიოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი თქმით, ამ პროექტს მხარს არავინ არ დაუჭერს.**

for.ge **ირაკლი გოგავას** ესაუბრა.

# ევროკავშირი გვატყუებს, ამიტომაც ევროკავშირის პერსპექტივა ჩვენთვის არარეალისტურია!..

**– მეტი მშვიდობა – მეტი სტაბილურობა – თქვენ გამოდიხართ ინიციატივით, შეიქმნას სამხრეთ კავკასიური ფორმატი, როგორ წარმოგიდგენიათ, ასეთი ფორმატის აღდგენა მაშინ, როდესაც ჩვენ კონფლიქტები არ გვაქვს დარეგულირებული?**

– აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებამდე სრულმასშტაბიანი ურთიერთობის აღდგენა არის წარმოუდგენელი. ასევეა მოლდოვაში დნესტრისპირეთის საკითხი, ასევე იყო ყარაბაღის საკითხი. ხომ ყველამ ვიცოდით, რომ რუსეთი თავის დროზე სომხეთს მიეხმარა და ყარაბაღი მოაგებინა. ეს იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანისა და რუსეთის ურთიერთობები ვერასდროს ვერ იქნებოდა მეგობრული, სანამ ყარაბაღი არსებობდა, მაგრამ დღეს ეს საკითხი გადაიჭრა და გადაიჭრა რუსეთის მონაწილეობით.

კი, შეიძლება რუსეთის პარტიული ჩართულობა არ იყო ყარაბაღის დაბრუნების საკითხში, მაგრამ ეს ყველაფერი რუსეთის გარეშე ვერ მოხერხდებოდა და ამიტომ, გადაწყდა ასე. ჩვენთვის საინტერესოა და პირველი ამოცანაა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, შესაბამისად, 90-იანი წლებში თუ რუსები ვიღაცების გავლენის ქვეშ იყვნენ და იმიტომ ღებულობდნენ ასეთ გადაწყვეტილებას, ეს რუსებმა თვითონ უნდა თქვან. გამოიძიონ ის თემები, დაკითხონ მონაწილეები, როგორც უშიშროების, ასევე თავდაცვის სამინისტროს მაღალი ოფიცრები და გამოაცხადონ, რომ ეს იყო გარედან თავს მოხვეული გადაწყვეტილება.

**– როგორ ფიქრობთ, მოხდება თუ არა სამხრეთ კავკასიის ისრაელიზაცია?**

– აქ მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, როდესაც ირანი, რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ იმაზე, რომ კავკასიაზე ეს სამი სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას და აქედან გარე ძალები იქნებიან განდევნილი. პლუს ამას, ისინი არ დაუშვებენ დიდ ომს და სწორედ ამ შეთანხმების შემდეგ მოხდა ყარაბაღის ის ერთდღიანი ომი, რომლითაც აზერბაიჯანმა მთლიანად დაიბრუნა თავისი ტერიტორია. რაც შეეხება ზანგეზურს, აზერბაიჯანი ამ თემის ტორპედირებას ახდენდა იმიტომ, რომ მთლიანად არ ჰქონდა დაბრუნებული, მაგრამ ახლა, როდესაც აზერბაიჯანს შესთავაზეს, რომ ყარაბაღი მთლიანად შენი ტერიტორია იყოსო, ამით არის გამოწვეული ზანგეზურის საკითხიც.

**– რა დატვირთა აქვს ზანგეზურის დერეფანს?**

– დერეფანი არის საერთაშორისო ურთიერთობებში ექს-ტერიტორიული ცნება. მაგალითად, რაღაცა ტერიტორია არის ერთი სახელმწიფოსი და ექს-ტერიტორიული დერეფანი ნიშნავს, რომ ის სახელმწიფო კი ვერ აკონტროლებს ვისიც არის, არამედ ვისიც არის ეს კორიდორი, ის აკონტროლებს. შესაბამისად, სომხეთი წინააღმდეგი იყო ასეთი დერეფნის გახსნის. შეთანხმებაში, რომელშიც აზერბაიჯანმა, რუსეთმა და სომხეთმა ხელი მოაწერეს, იქ წერია ლაჩინის კორიდორი და გზა ზანგეზურზე. სომხეთი გზის გახსნის წინააღმდეგი არ იყო. თანაც იქ ჩაიწერა, ეს გზა იქნება რუსეთის დაცვის ქვეშ.

**– როგორც ცნობილია, ირანმა შესთავაზა აზერბაიჯანს, რომ აუშენებს გზას ირანის ტერიტორიაზე...**

– როგორც ჩანს, მოხდა შემდეგი შეთანხმება – ყარაბაღი მთლიანად დაიბრუნა აზერბაიჯანმა. ირანი გაუხსნის ლანჩევანთან შემაერთებელ გზას აზერბაიჯანს. ზანგეზურზეც შეიძლება გაიხსნას არა კორიდორი, არამედ გზა. ასევე გაიხსნება მატარებლის ლიანდაგი სომხეთ-აზერბაიჯანს შორის და პრინციპში, ყველა კომუნიკაცია სამხრეთ კავკასიაში უნდა გაიხსნას. ასევე უნდა გაიხსნას აფხაზეთის რკინიგზა, ოღონდ ამას სჭირდება ჩარჩო შეთანხმება – აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა. რუსებს ეს თავისუფლად შეუძლიათ.

პირველი ეტაპი ეს იქნება დევნილების დაბრუნება გარანტიებით და შემდეგ უკვე პოლიტიკური შეთანხმება ფორმებზე – ფედერაცია, კონფედერაცია, კავშირი, თუ უნიათო ალიანსი. რაც უნდათ ის დაარქვან, მთავარია შინაარსი – დევნილების დაბრუნება და ამაზე აეწყოს ახალი ურთიერთობა. აზერბაიჯანმა ეფექტურად დაიბრუნა ყარაბაღი. ჯერ იყო 44-დღიანი ომი, შემდეგ 1-დღიანი. მაგრამ, ჩვენი გზა, სამხედრო გზა არ უნდა იყოს.

**ჩვენ გვაქვს სამი ძირითადი ოფცია – პირველი, ინტეგრაცია ევროკავშირში, მაგრამ აქ პრობლემაა – ევროკავშირი გვატყუებს. აშკარად სურს, რომ იყოს მუდმივი დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის და ამის გამო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის საერთოდ არაფერს არ აკეთებს. გვამშვიდებს იმით, რომ არაღიარების პოლიტიკას ატარებს. დასავლეთი აღიარებს თუ არა აფხაზეთს, ეს დიდად საინტერესო არაა, მთავარია, რომ რუსეთმა აღიარა. ანუ, ევროკავშირის პერსპექტივა ჩვენთვის არარეალისტურია. გვატყუებენ, სტაფილო ჩამოგვიკიდეს ცხვირწინ და სახედრებივით მივყვებით.**



**– რატომ – ჩვენს შემთხვევაში ეს იქნება წამგებიანი?**

– რა თქმა უნდა. მე ყოველთვის ვამბობ, რომ რაც არ უნდა ვთქვათ, აფხაზები არიან ჩვენიანები. ზოგი აფსუას ეძახდა, ზოგი ჩამოსულს, რა მნიშვნელობა აქვს, ვისაც აფხაზად მიაჩნია თავი, ის აფხაზია და მორჩა. ამიტომ, მას სრული უფლება აქვს იყოს ამ ტერიტორიაზე და განვითარდეს. ვიცით, რომ მენშევიკებმა, გერმანელებთან ერთად ჩაახშეს აჯანყება აფხაზეთში, მაგრამ 90-იან წლებში ისევ მივიღეთ აჯანყება. ანუ, ჩვენ სამხედრო გზით რომც შეგვეძლოს დაბრუნება, გავანადგუროთ აფხაზეთის ჯარი და დავიპყროთ აფხაზეთი, ეს ნიშნავს უმძიმესი პრობლემის შემდეგ თაობებზე გადაცემას.

ეს არის არაპრაგმატული და არაჭკვიანური ერის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ერი მარტო ის არაა, რაც ვართ. ერი არის რაც იყო, რაც ვართ და რაც იქნება. პასუხისგებლიანი პოლიტიკა ასეთია – აფხაზებს უნდა შევუთანხმდეთ, ისეთი რამ უნდა შევთავაზოთ, რაც მათთვისაც მისაღებია. რაც შეეხება რუსეთს, ისეთი პოზიცია უნდა დაიკავოს, რომ შეთანხმების გარეშე არ დაასრულოს ეს პროცესი.

**– სამმხრივი ფორმატი თუკი შედგა, საინტერესოა რუსეთის პოზიცია. რუსეთს რამდენად აწყობს კავკასიის ტერიტორიაზე ასეთი ფორმატის შექმნა, ეს ნიშნავს მისი გავლენიდან საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის გასვლას? ანუ, რა შემთხვევაში შეიძლება ამაზე წამოვიდეს რუსეთი?**

– რუსეთს აქვს საკმაოდ კარგი არქივები, მშვენივრად იციან საკუთარი ისტორია, მშვენივრად ახსოვთ შამილის ომები ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც თითქმის 60 წელი გაგრძელდა და მშვენივრად ახსოვთ, რომ იმ შამილს იარაღით, ტყვია-წამლით და ცოცხალი ძალით ამარაგებდა ბრიტანეთის იმპერია. ასევე, კარგად ახსოვს ჩეჩნური ომები, როდესაც საქართველოდან და აზერბაიჯანიდან ჩეჩნეთში შედიოდა ცოცხალი ძალაც, მათ შორის ვაჰაბიტები, შედიოდა იარაღიც, კავშირგაბმულობის საშუალებები და ა.შ. ჩრდილოეთ კავკასია არის ერთ-ერთი ისეთი რეგიონი, რომელიც ყველაზე არასტაბილურობის მომტანია რუსეთისთვის.

**რატომ? – იმიტომ, რომ ეთნიკური შემადგენლობა არის განსხვავებული. ამიტომ, ამ რეგიონის აფეთქება თუ ვინმეს უნდა, ეს ბრიტანეთია უნდა და მაგაზე მუშაობენ, საქართველოდან და აზერბაიჯანიდან თავისუფლად შეიძლება იარაღის გატანა. ეს უკვე გაიარა რუსეთმა და მათ ინტერესშია საქართველოსთან და აზერბაიჯანთან დაალაგოს ურთიერთობები იმისათვის, რომ არ აუფეთქონ ჩრდილოეთ კავკასია.**

შეგახსენეთ, 2009 წელს სააკაშვილმა უვიზო რეჟიმი დაუწესა რუსებს და ისმის კითხვა – რატომ დაუწესა? იმიტომ, რომ უნდოდათ აქ ჩამოსულიყვნენ რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც სხვადასხვა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები გადაიბირებდნენ, გაწევრდნენ და შეაგზავნიდნენ უკან დავალებებით.

**– ასევე მოხდა ირანთან უვიზო რეჟიმის დაწესება სააკაშვილის მიერ, ამასაც იგივე დატვირთვა ჰქონდა?**

– იგივე პროცესი იყო მაშინაც. ირანელები ჩამოდიოდნენ, უცხო ქვეყნის დაზვერვები მათთან მუშაობდნენ და მერე აგზავნიდნენ უკან. ეს ყველამ იცის და იცის რუსეთმაც, რადგან ღიად ხდებოდა. არ მგონია, რომ ეს ისევ შედიოდეს რუსეთის ინტერესებში, მით უმეტეს, იმ ფონზე, რაც უკრაინაში ხდება. იგივე პროცესები შეიძლება შუა აზიაში გაუჩინონ. ამიტომ, რუსებისთვის ჩვენი ტერიტორია, რასაც სამხრეთ კავკასია ჰქვია, მინიმუმ, ნეიტრალური უნდა იყოს.

**– ანუ?**

– აქ არ უნდა იყოს განლაგებული უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთები და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების გადასაბირებელ-მოსამზადებელი ბაზები. ჩვენი გადმოსახედიდან, თუ რუსეთი ოკუპანტია და არც აპირებს ამ სტატუსის მოხსნას, რა პრობლემაა ვუმასპინძლოთ ვინმეს? ამიტომ, მოუწევს არჩევანის გაკეთება.

**– რა არჩევანი აქვს დღეს საქართველოს?**

– ჩვენ გვაქვს სამი ძირითადი ოფცია – **პირველი,** ინტეგრაცია ევროკავშირში, მაგრამ აქ პრობლემაა – ევროკავშირი გვატყუებს. აშკარად სურს, რომ იყოს მუდმივი დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის და ამის გამო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის საერთოდ არაფერს არ აკეთებს. გვამშვიდებს იმით, რომ არაღიარების პოლიტიკას ატარებს. დასავლეთი აღიარებს თუ არა აფხაზეთს, ეს დიდად საინტერესო არაა, მთავარია, რომ რუსეთმა აღიარა. ანუ, ევროკავშირის პერსპექტივა ჩვენთვის არარეალისტურია. გვატყუებენ, სტაფილო ჩამოგვიკიდეს ცხვირწინ და სახედრებივით მივყვებით.

ეს, უფრო და უფრო მეტ ადამიანს ესმის და ამიტომაც ევროკავშირში გაწევრების მსურველთა რაოდენობა კატასტროფულად დაკლებულია. ბოლო სოციოლოგიით რაც ვნახე, 50%-ზე ნაკლებია. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ გავწყვიტოთ ურთიერთობა. ნატოშიც იგივე პროცესია. ჩვენ და უკრაინას ნატოში არ მიგვიღებენ და რატომ? – იმიტომ, რომ ნატოს და დასავლეთს საქართველო და უკრაინა სჭირდებათ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ საომრად. თუ ნატოში მიგიღებს, უკვე ვეღარ გამოგიყენებს. მაშინ თვითონ მოუწევს რუსეთთან დაპირისპირება, იმიტომ, რომ მოქმედებს ნატოს წესდების მე-5 მუხლი, რომელიც კოლექტიურ უსაფრთხოებას ნიშნავს. მაგრამ, ესეც არ ნიშნავს იმას, რომ ნატოსთან ურთიერთობა შევწყვიტოთ.

რაც შეეხება რუსეთს, ჩვენ გვაქვს მასთან ურთიერთობის გამოცდილება, მათ შორის პოზიტიური და განსაკუთრებით საბჭოთა ექსპერიმენტის წლებში. მაგრამ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გამორიცხულია, ვიდრე აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემა არ გადაიჭრება. თუ რუსეთი შეცვლის ამ პოლიტიკას და ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადაწყვეტას, მაშინ მთავარი გამაღიზიანებელი იხსნება ორ ქვეყანას შორის და შეიძლება განვითარდეს სერიოზული ურთიერთობები. მაგრამ, მიუხედავად ამ ორი ოფციისა, მე მაინც მგონია, რომ ჩვენთვის ყველაზე მისაღები არის სამხრეთკავკასიური სამეული: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანის ზომიერი ფედერაციული ერთობა, ერთ ნავში ჩაჯდომა.

**– რაც არ ნიშნავს, რომ დასავლეთთან ვწყვეტთ ურთიერთობას?**

– არა, რა თქმა უნდა. ყველა თანასწორი ურთიერთობა იქნება მისაღები, მხოლოდ ერთი რამ იქნება შესასრულებელი – სამხრეთ კავკასიიდან არავის მიმართ საფრთხე არ უნდა მოდიოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პროექტს მხარს არავინ არ დაუჭერს. თუ ასეთი რამ მოხდება, ეს ირანისთვისაც მისაღები იქნება, თურქეთისთვისაც, რუსეთისთვისაც, ევროკავშირისთვისაც ამერიკისთვისაც. ეს იქნება მრავალსაუკუნოვანი სტაბილურობის გარანტია.

**ესაუბრა
თამთა ქარჩავა**

# მთავარი მწამებლების გაფარჩაკებული პარტია











**კულუარული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ კვიპროსში „ნაციონალური მოძრაობის“ ჩრდილოვან მმართველთან დავით კეზერაშვილთან შეხვედრის შემდეგ, გადაწყდა, რომ ლევან ხაბეიშვილს ახალი უფროსი ეყოლება. როგორც აღმოჩნდა, დავით კეზერაშვილი გაბრაზებულია და ის პარტიაში ახალ სქემას ალაგებს. საქმე ისაა, რომ ლევან ხაბეიშვილის და გიორგი ვაშაძის ტანდემმა „ძალა ერთობაშია“ არ გაამართლა, ამიტომ კეზერაშვილი ცდილობს პარტიის მართვის სადავეები ჩააბაროს ნიკა გვარამიას, რომელიც ყველასთვის მისაღები ფიგურა იქნება.**

კეზერაშვილმა კვიპროსში ჩასულ შვიდეულს აცნობა, რომ გვარამია იქნება პარტიაში შექმნილი ახალი ბორდის ხელმძღვანელი, რომელიც ასევე იქნება თვით ხაბეიშვილის მაკონტროლებელი ფიგურა. მას 2024 წლის არჩევნების სიის შედგენას ჩააბარებენ. ასევე ცნობილი ხდება, რომ კეზერაშვილი გვარამიას და გიორგი ვაშაძეს საფრანგეთში შეხვდა, სადაც სავარაუდოდ, სწორედ ეს დეტალები განიხილეს.

რაც შეეხება **მიხეილ სააკაშვილს**, დიდი ალბათობით, მას გვარამიას საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეს. თუმცა, როგორც ანალიტიკოსები ფიქრობენ, მას დიდად არავინ არაფერს აღარ ეკითხება, რადგან საერთოდ, თამაშიდან არის გასული და მასთან მხოლოდ **სოფო ჯაფარიძეა** დარჩენილი. მათი აზრით, სწორედ სააკაშვილისთვის საჩვენებლად ჩავიდნენ ჭორვილაში, რომ ვითომ მისთვის რაღაცას აკეთებენ. რეალურად კი ის პროცესებს საერთოდ მოწყვეტილია და გადაწყვეტილებებსაც მის გარეშე იღებენ.

**ნიკა მელიას** გუნდის წარმომადგენელი **ბაჩო დოლიძე** ამბობს, რომ პარტიაში სრული გაუგებრობაა. არც ბორდი და არც თავმჯდომარე, რომელსაც, დიდი ალბათობით, საფრთხე ემუქრება, არც სხვა პოლიტიკური პოზიცია პარტიაში, არ არის დამოუკიდებელი. როგორც ბაჩო დოლიძემ აღნიშნა, ყველა აცნობიერებს, რომ სრულიად ნომინალურია, როგორც არ უნდა შეფუთონ და როგორ ლამაზად შეკაზმულიც არ უნდა იყოს ეს ბორდი.

**„არ ვიცი, რა ხდება და ცოტა დავიბენი, რაღაც ნაწილი საუბრობს, რომ ბორდი აუცილებელია, შეიქმნება და მეორე ნაწილი საუბრობს, არავითარი ბორდი არ იქმნება. სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს ეს საკითხი. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ გვარამიას დათანხმება შესაძლებელია ისეთ პოზიციაზე, რომელიც იქნება აბსოლუტურად ნომინალური და იქ, სადაც კეზერაშვილი დირექტივებს მისცემს, არ მგონია გვარამია ამ ყველაფერს დათანხმდეს. ვერ გეტყვით რასთან არის კავშირში, მაგრამ ფაქტია, ხაზეიშვილით უკმაყოფილონი არიან, იკვეთება ისე, რომ იქაც გაიყო მგონი – არიან ბორდის მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ყველა აცნობიერებს, რომ სრულიად ნომინალურია, როგორც არ უნდა შეფუთონ და როგორ ლამაზად შეკაზმულიც არ უნდა იყოს ეს ბორდი. მანდ სხვა ადამიანები წყვეტენ პოლიტიკურ ამინდს. არც ბორდი და არც თავმჯდომარე, რომელსაც, დიდი ალბათობით, საფრთხე ემუქრება, არც სხვა პოლიტიკური პოზიცია პარტიაში, სამწუხაროდ, არ არის დამოუკიდებელი“,** – განაცხადა **დოლიძემ.**

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაში „ნაციონალურ მოძრაობაში“ ლიდერის ფუნქცია თუ ვინმეს შეიძლება დაეკისროს, ეს ნიკა გვარამიაა და ამის ყველაზე დიდი შანსი მას აქვს. ძაბირაძე ამბობს, რომ თეორიულად, ნიკა გვარამია „ნაციონალურ მოძრაობას“ აერთიანებს. ის არის, როგორც მიხეილ სააკაშვილის, ასევე დავით კეზერაშვილის მეგობარი. ის ორივე მხარისთვის, წესით, მისაღები უნდა იყოს.

**„რა თქმა უნდა, ამ კრიტიკულ ვითარებაში ნიკა გვარამია ყველაზე იდეალური კანდიდატურაა. ჩვენ ვხედავთ, რომ ლევან ხაზეიშვილი ადრე თუ აქტიურობდა მაინც, ახლა ამ აქტიურობასაც ვეღარ ახერხებს. ამოწურა უკვე თავი.**

**ასევე, დაუნიშნეს გვერდით გიორგი ვაშაძე, რომელსაც დიდი არაფერი შეუძლია. ამიტომ გვარამია ახლა ყველაზე კარგი ვარიანტია. მე მაინც არ მგონია, რომ თუ გვარამიას სიების შედგენას ჩააბარებენ და საერთოდ თავმჯდომარე გახდება, მელია უნდა დარჩეს. საერთოდ, ის ენმ-ში უფუნქციოდ არის დარჩენილი. ხოლო რაც უფრო დროს დაკარგავს, მისი რეიტინგი და შესაძლებლობა მით უფრო მიილევა.**

**გვარამია ის კაცია, რომლის მეშვეობითაც ნაციონალების გაერთიანებას ეცდებიან. გვარამიას ენდობა, როგორც სააკაშვილი, ასევე კეზერაშვილი. თუმცა, ახლა მგონია, რომ სააკაშვილის სურვილზე ბევრი რამ ნაკლებად არის დამოკიდებული. კეზერაშვილი და მერაბიშვილი, საერთოდ, მგონია, რომ გვარამიას უფრო ენდობიან, ვიდრე სააკაშვილს და მის გარემოცვას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სიების შედგენასაც მას მიანდობენ. ვფიქრობ, მელიასთან დაკავშირებით ენმ-ში პროცესი იმდენად ღრმად არის წასული, რომ აღარ მგონია დიდხანს დარჩენა კიდევ უღირდეს. ამიტომ მგონია, რომ ლევან ხაზეიშვილს კიდევ ახალი უფროსი ეყოლება და ეს ნიკა გვარამია იქნება. მოკლედ, ის არის უბრალოდ ნომინალური ფიგურა, რომელსაც რამდენიმე უფროსი ჰყავს“,** – ამბობს **ძაბირაძე.**

## სოფო ჯაფარიძის ამარა დარჩენილი საწყალი სააკაშვილი, გაბრაზებული კეზერაშვილი და „ლიდერობისთვის“ განწირული გვარამია

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** კი ამბობს, რომ უკვე კარგად ჩანს პარტიაში მიხეილ სააკაშვილის გარეშე გვარდება ყველაფერი. საყვარელიძე მიიჩნევს, რომ სააკაშვილთან ახლა მხოლოდ სოფო ჯაფარიძეა, რომლის იდეითაც ჭორვილაში ჩავიდნენ და დასაცინები საკუთარი პარტიის მხარდამჭერებშიც კი გახდნენ. ამიტომ საყვარელიძე ფიქრობს, რომ ენმ-ში რა ხდება და ვინ რას წყვეტს, რას აკეთებენ, ყველაფერი კონტროლიდან არის გასული.

**„არ ვიცი ენმ-ის ირგვლივ სერიოზული მსჯელობა უკვე რამდენად ღირს, რადგან ვხედავთ, რომ მათი ყველა ქმედება ბოლოს უკვე ძალიან არაადეკვატურია. დავიწყოთ იქიდან, რომ პარტიაში ერთმანეთს თავად არ ენდობიან. გვახსოვს, ალბათ, პრეზიდენტის იმპიჩმენტის კენჭისყრაზე დარბაზში იმ მოტივით არ შევიდნენ, ვაი-თუ ვინმეს ხელი წაუცდეს და იმპიჩმენტს მხარი დაუჭიროსო. მერე ეს რამდენიმე ბანაკად გაყოფილი პარტია – ზოგი ლევან ხაზეიშვილის, კეზერაშვილის და მერაბიშვილის მომხრეა, ზოგი მელიას ბანაკშია და ზოგიც სააკაშვილის... თუმცა, ახლა რასაც ვაკვირდები, მასთან მხოლოდ სოფო ჯაფარიძეა დარჩენილი, რომლის ჭორვილაში გასეირნებამ სიცილი და მხიარულება მათსავე ამომრჩეველში გამოიწვია. ლევან ხაზეიშვილი და მისი დამქაში გიორგი ვაშაძე, საერთოდ სადღაც არიან. როგორც ჩანს, ახლა ნიკა გვარამია შემოვა უკვე თამაშში. კეზერაშვილის ფულები კარგად იჭმევა და გაბრაზდა ის კაციც, ასე მარტივად ხომ არ იშოვა, ამ ფულის მოპარვაზე ამდენი ითაღლითა. ამიტომ გვარამია სანდოა მისთვის, უფრო მისი მეგობარია, ვიდრე ხაზეიშვილი.**

**ხაზეიშვილი მაშინ აწყობდათ და ახლა საერთოდ რაში გამოიყენონ? მაშინ მელიას მოშორება უნდოდათ და მოიშორეს კიდევაც. კეზერაშვილს და მერაბიშვილს ხელისუფლებაში მოსვლა არ სურთ. მათ ჩვენზე კარგად იციან, რომ იმ სახეების წინ წამოწევით, რომლებსაც 2012 წელს ხალხმა უარი უკვე უთხრა, არჩევნებს ვერ მოიგებენ. თუმცა, ეს სულაც არ ადარდებთ. მათი მიზანია, რომ იყვნენ პირველი ოპოზიციური პარტია, ბიუჯეტიდან კარგი დაფინანსება მიიღონ და იყვნენ ასე ტკბილად. არც ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პრობლემა აქვთ. როცა უნდათ და როგორც უნდათ, ისე მოიქცევიან. ამიტომ ახლა გვარამია საუკეთესო ვარიანტია ყველასთვის“,** – ამბობს **საყვარელიძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

**სააკაშვილთან ახლა მხოლოდ სოფო ჯაფარიძეა, რომლის იდეითაც ჭორვილაში ჩავიდნენ და დასაცინები საკუთარი პარტიის მხარდამჭერებშიც კი გახდნენ. ენმ-ში რა ხდება და ვინ რას წყვეტს, რას აკეთებენ, ყველაფერი კონტროლიდან არის გასული.**

**ახლა ნიკა გვარამია შემოვა უკვე თამაშში. კეზერაშვილის ფულები კარგად იჭმევა და გაბრაზდა ის კაციც, ასე მარტივად ხომ არ იშოვა, ამ ფულის მოპარვაზე ამდენი ითაღლითა. ამიტომ გვარამია სანდოა მისთვის, უფრო მისი მეგობარია, ვიდრე ხაზეიშვილი. ხაზეიშვილი მაშინ აწყობდათ და ახლა საერთოდ რაში გამოიყენონ? მაშინ მელიას მოშორება უნდოდათ და მოიშორეს კიდევაც. კეზერაშვილს და მერაბიშვილს ხელისუფლებაში მოსვლა არ სურთ.**



# დედაქალაქზე დღენიადაგ მზრუნველი მერი

*ვით იესომ გალილეა აირჩია,*
*მე ტფილისი ავირჩიე, ზეზერი...*



**ჩვენი მშვენიერი დედაქალაქი თბილისი ყველას უსაზღვროდ გვიყვარს, სადაც დავიბადეთ, საოცარი ბავშვობა და ყრმობა გავატარეთ ჩვენს ახალგაზრდა, ლამაზ მშობლებთან და ახლობლებთან ერთად. შემდეგ სკოლა, სადაც გვასწავლიდნენ ზედმიწევნით ერუდირებული და უკეთილშობილესი მასწავლებლები. მერე, სტუდენტობის ბედნიერი ხანა....**

**სტუდენტობისას მუშად დავიწყე მუშაობა ჯერ გამომცემლობა-რედაქცია „სამშობლოს“, შემდეგ კი სპორტის სასახლის მშენებლობაზე, საძირკვლის ქვაბულიდან მის დასრულებამდე, რომლის შემკრავი თაღის მონტაჟიც ჩემს ბრიგადას მიანდეს და... სამთავრობო კომისიას, 63 წლის წინათ მთელი კომპლექსი ბრწყინვალედ ჩავაბარეთ.**

სასახლის არქიტექტორი ლადო ალექსი-მესხიშვილი იყო, კონსტრუქტორი კი დავით ქაჯაია, ორივე შესანიშნავი პიროვნება და აღიარებული პროფესიონალი. თუმცა, მთელი რიგი ობიექტების მშენებლობის შემდეგ, მეორე სასახლის აშენებაც მომიწია – სასახლე ქორწინებისა, რომელმაც უდიდესი მოწონება დაიმსახურა როგორც თბილისელების, ასევე თბილისის მაღალი რანგის სტუმრებს შორის.

ჩვენი ძველი, მრავალჭირგამოვლილი, უსასტიკესი დამპყრობლების მიერ მრავალჯერ დანგრეული და იავარქმნილი დედათბილისი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მკვდრეთით აღდგა და ყოველწლიურად ლამაზდება და მშვენიერდება.

**მე კარგად ვიცნობდი და ვთანამშრომლობდი დედაქალაქის ყოფილ თავკაცებთან: ალექსანდრე მელაძესთან, თენგიზ მენთეშაშვილთან, შოთა გუხრაშვილთან, გურამ გაბუნიასთან, ზაურ მესხიშვილთან, გორის სარალიძესთან, ოთარ ლითანიშვილთან, ნიკო ლეკიშვილთან, გადრი შოშიტაიშვილთან... ეს მთელი კოჰორტა იყო საქმიანი ადამიანებისა, რომლებიც ოცდაოთხი საათის განმავლობაში თავს არ ზოგავდნენ ქალაქის გამშვენიერებისათვის. მაგრამ რაც ამ ბოლო წლებში ხდება თბილისის გაკეთილშობილებისთვის, დედაქალაქის ახალგაზრდა და ენერგიული მერის ბატონ კახა კალაძის ხელმძღვანელობით, სულ სხვაა. ქალაქის გზების, მოედნების, განათების, შენობების ფასადების, ხიდების, გადასასვლელების, ტრანსპორტის მოძრაობის, ძველი კომუნიკაციების მოწესრიგებამ და, რაც ყველაზე მთავარია, თბილისის გონივრულმა, მასობრივმა გამწვანებამ არნახული ეშხი და ლაზათი შესძინა თბილისს.**

ქალაქის მოძველებული და ურთულესი მეურნეობა სწრაფი ტემპით მოჰყავთ წესრიგში. უზარმაზარი ქალაქის ტერიტორია მოგაგონებთ სამშენებლო პოლიგონს. ყველგან მექანიზმები და სამშენებლო ტექნიკა გუგუნებს, მოქალაქეები შეწუხებულნი არიან, მაგრამ სამწუხაროდ ამორტიზებული კომუნიკაციების ახლით შეცვლა და მოწესრიგება სხვაგვარად შეუძლებელია. ასეა ყველგან, მსოფლიოს დიდ ქალაქებშიც – ძველი და უვარგისი იცვლება ახალი მასალებით და ტექნოლოგიებით. ეს საერთაშორისო პრაქტიკაა. ძალიან კარგია, ჩვენმა მშენებლებმა და მემონტაჟეებმაც რომ ალღო აუღეს ამ ურთულეს პროცესს.

კახა, ჩემო ბატონო, ეს ყველაფერი ძალიან კარგია და მისასალმებელი, მაგრამ დიდი გამოცდილების მქონე ჩემნაირ ადამიანს, რომელსაც მოსწონს შენი მუშაობის სტილი და მეთოდი, მსურს მოგცე რამოდენიმე რჩევა. (1975 წლიდან მშენებლობის მინისტრის მოადგილე, 1985 წლიდან კი პირველი მოადგილე ვიყავი. აშენებული მაქვს უამრავი გიგანტი ობიექტი საქართველოში, როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოთ.)

**– ხომ არ აჯობებდა, უარი გეთქვა „ოცნების“ გენერალურ მდივნობაზე, რომ შენი მთელი ცოდნა, გამოცდილება და დრო მოახმარო დედაქალაქის ურთულესი მეურნეობის მოწესრიგებას...**

**– შენი ხელმძღვანელობით უნდა შექმნა მრჩეველთა საბჭო და დააკომპლექტო გამოცდილი პროფესიონალებით. საბჭო, რომელიც თვეში ერთხელ წერილობით წარმოგიდგენს გადასაწყვეტი საკითხების (პრობლემების) ნუსხას. საბჭოს წევრებს არ უნდა ემსახურებოდნენ ავტომანქანები, არ სარგებლობდნენ სახელმწიფო მობილური ტელეფონებით, არავითარი ფულადი ანაზღაურება და კაბინეტები არ უნდა ჰქონდეთ. ერთი ოთახი შესაკრებად და მსჯელობისთვის საკმარისია. დებულება თქვენ უნდა დაუმტკიცოთ. საბჭოს წევრებად უნდა შეარჩიოთ გულანთებული თბილისელები.**

**– დაავადებულ ხეებს უნდა ვუმკურნალოთ, გამხმარი მოვჭრათ;**

**– მტკვრის კალაპოტი გავასუფთაოთ, მოაჯირები, განათება, ლითონის კიბეები მოვიყვანოთ წესრიგში;**

**– ორი ბენზინგასამართი სადგური სხვაგან გადავიტანოთ, აუზს დემონტაჟი გავუკეთოთ და ყოფილ აბრეშუმის ფაბრიკასთან ძაბრივით შევიწროვებული გზა გავაფართოვოთ;**

**– სასტუმრო „ჰილტონის“ მშენებლობა განვაახლოთ (წლების მანძილზე შეჩერებულია)!**

**– ცირკის უკან დატბორილ ჭაობის ქვაბულში მშენებლობა განვაახლოთ (წლების მანძილზე ანტისანიტარიის კერაა). ეს ორივე, მემკვიდრეობით, უტიფარი სააკაშვილისგან გვერგო;**

**– საგურამოსთან თბილისის წყლით მომარაგების ტერიტორია მოსაწესრიგებელია, ღობე მორღვეულია, ახალგაზრდები გადადიან და წყალსაცავებში ბანაობენ, ეკალბარდებით მოფენილია მთელი ტერიტორია;**

**– დისტრიბუცია, გარე კომუნიკაციები, მოასფალტება, გამწვანება, ნაგვის გატანა, მიწისქვეშა გადასასვლელები და ქუჩების კეთილმოწყობა უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ არასამუშაო საათებში და დღეებში, საღამოს 8 საათიდან – დილის 8 საათამდე. თუ გვინდა ქალაქი მოზღვავებული ტრანსპორტისგან განვტვირთოთ.**

**– ქალაქში მტკვრის სანაპიროს შემოგარენში შევნიშნე რამდენიმე კანალიზაციის დაზიანებული ჭა, საიდანაც სიბინძურე ჟონავდა. სასურველია შესაბამისმა სამსახურებმა ქალაქის კანალიზაციის სისტემა წესრიგში მოიყვანონ:**

**– ძეგლები, ბიუსტები, მონუმენტური სკულპტურები, ხშირად უნდა ირეცხებოდეს სპეციალური ხსნარით.**

**– სასურველია, თბილისს ჰქონდეს თავისი გაზეთი. ჰქონდა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა თბილისელებს შორის.**

**– №1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც 105 წლისაა და ყველაზე მოთხოვნადია, ნუთუ არ შეიძლება მისთვის საოფისე ფართობის, 3-4 ოთახის გამოძებნა თბილისში;**

**– ნუთუ ვინმეს შეიძლება მოსწონდეს ქართული შესანიშნავი ბუნებრივი ქვით მოპირკეთებულ შენობა-ნაგებობებზე დაჯღაბნილი გაუგონარი სიმახინჯეები და საშინელი წარწერები, რომლებიც ამ ბოლო დროს მომრავლდა ჩვენს დედაქალაქში;**

**– მერიის თაოსნობით მშვენივრად კეთილმოეწყო ჩვენი მხატვრების და ხელოვანთა ნამუშევრების გრანდიოზული გამოფენა-გაყიდვა სანაპიროზე. ამიტომ ზედმეტია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საფეხურებზე ხელოვნების პროდუქციით ვაჭრობა და ამ უნიკალური ნაგებობის ფასადის დამახინჯება. სასურველია დედაქალაქის ცენტრში ამ პრესტიჟული შენობის ფასადის მოწესრიგება და გაკეთილშობილება;**

**– შენობა-ნაგებობები, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლები ექსპლოატაციაში უნდა ჩაბარდეს ყოველმხრივ დასრულებული. ასევე, დასრულებული უნდა იყოს შიდა და გარე კომუნიკაციები, მოპირკეთების, ლიფტების, კიბის უჯრედის, სადარბაზოების, სახურავის, ავტოსადგომების, გამწვანების, კეთილმოწყობის სამუშაოები. საქართველოს გარდა, სხვაგან არსად არ არებობს ცნება „შავი“ და „თეთრი“ კარკასი. ამ მახინჯ ცნებებს წერტილი უნდა დაესვას სამუდამოდ;**



**– ბევრი დაიწერა და ითქვა თბილისში ქართველი მიქელანჯელოს, მერაბ ბერძენიშვილის შედევრის, მეფეთამეფის დავით აღმაშენებლის სკულპტურის ადგილმონაცვლეობაზე და გარეწარი სააკაშვილის ინიციატივით დადგმული სიმახინჯეების მოშორებაზე;**

*   *   *

**– ჩვენი თანამედროვე სასიქადულო პოეტი რეზო ამაშუკელი არ იმსახურებდა მთაწმინდაზე დაკრძალვას? იმსახურებდა, რა თქმა უნდა, აქაც იმძლავრა შურმა, ბოღმამ და უმადურობამ. ის ხმამაღლა ამხელდა მისი საფიცარი სამშობლოს უბოროტეს მტრებს, უგუნურ ოპოზიციას, ფულზე გაყიდულ არასამთავრობოებს, სიცრუის გამავრცელებელ ტელევიზიებს. რეზო სიმართლის მთქმელი ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო. ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენ, პოეზიისა და ჩვენი ბედკრული სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული ხალხი, მალე მოვესწრებით მთაწმინდის პანთეონში ბატონი რეზო ამაშუკელის გადასვენებას.**

**– ასევე, ღვაწლმოსილი მეცნიერის, ცნობილი დიპლომატის, საქართველოს პატრიოტის, ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი პირველი რექტორის, აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის ბიუსტის მონტაჟს ტექნიკური უნივერსიტეტის სკვერში.**

*   *   *

**და ბოლოს, „თბილისობა“ არაჩვეულებრივი ღონისძიებაა, რომელიც ულამაზეს გრანდიოზულ ზეიმად და ტრადიციად ჩამოყალიბდა. თბილისელები ხარობენ. საზეიმოდ საპატიო თბილისელის წოდებას ანიჭებენ ღირსეულ, ღვაწლმოსილ მოქალაქეებს. ძირითადად, კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების წარმომადგენლებს აჯილდოებენ, მაგრამ რა დააშავა ტექნიკურმა ინტელიგენციამ. ისინი ხომ მუდამ თავდაუზოგავად შრომობენ თბილისის აშენება-დამშვენებისთვის. დამერწმუნეთ, ამ საკითხსაც სჭირდება დაფიქრება და მოგვარება.**



**ომარ მარგველაშვილი,**
აკადემიკოსი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.

**როგორც წესი, ვცდილობ, მეტისმეტად ფაქიზად შევეხო საქართველოს პრეზიდენტის პიროვნებას, რამეთუ ჰიმნთან, გერბსა და დროშასთან ერთად, პრეზიდენტი სახელმწიფოს სიმბოლოა და მისთვის ღირსეული პატივის მიგება მოქალაქეობრივ მოვალეობად მიმაჩნია.**

**ამიტომ, ვცდილობდი გარკვეული „ნეიტრალიტეტის“ დაცვას იმ პროცესის დროს, რაც, როგორც მგონია, „იმპიჩმენტის სკანდალად“ დარჩება ისტორიაში.**

**მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, მით უმეტეს, ცრუპენტელობას და უტიფრობას!!!**



# არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

არ შევეხები მის ანტისაიმპიჩმენტო გამოსვლას პარლამენტში. მხოლოდ ერთ წატრაბახებაზე ვრეაგირებ: მე გავიყვანეო რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოდან!..

გაიყვანა არა... კვატი! „კოჭლი“ კი არა, ნაღდი!, როგორც იმერეთში იტყვიან: „ტყვილი, ტყვილი, ტყვილი და... პაპიროსი პირში!“

ქვემოთ წაიკითხავთ უფრო მეტს. მანამდე კი, ეგებ, მიაქციოთ ყურადღება მხოლოდ თარიღს:

12 აგვისტო, 2018 წელი,

ანუ, ხუთი წელია გასული ამ პუბლიკაციიდან და...

დრომ ვერ შეცვალა ამ სიცრუის ავტორი!

პოლიტპოდიუმზე დგას ისევ ის ფანტაზიორი და უტიფარი ტიპი, რომელმაც სტატუსი შეიცვალა და უპერსპექტივო კანდიდატობიდან პრეზიდენტად გადაიქცა ბევრი ჩვენგანის „კენჭით“, რომელიც საარჩევნო ურნაში „ჩავყარეთ“ ბიძინა ივანიშვილის პატივისცემით და მოწოდებით.

გაიხსენეთ, წინასაარჩევნო პერიოდის პერიპეტიები!!!

ყოველგვარი ქვეტექსტისა და მინიშნების გარეშე უნდა ვთქვა: მაშინ, ბევრისგან განსხვავებით, მე არ(ვერ) გავატარე ურეიტინგო კანდიდატის უსინდისო ტრაბახი და ღირსეულ წინამორბედთა ღვაწლის აბუჩად აგდება, რამეთუ პირადად ვარ მოწმე-მონაწილე ამ ურთულესი, დაძაბული, რისკებით სავსე პროცესის, გაბედული ნაბიჯების საჯარო ვითარებასა თუ „დიპლომატიურ“ კულუარებში;

აქტიური მუშაობა მიდიოდა უხმაუროდ, ფანფარების გარეშე, მთელი წლის განმავლობაში – ვაშინგტონში, მოსკოვში, ანკარაში...

სხვათა შორის, თედო ჯაფარიძის, ირაკლი მენაღარიშვილის მეთაურობით მოქმედ დიპლომატთა და ექსპერტთა არცთუ მცირერიცხოვანი სუპერ-ჯგუფის დაუღალავ, კომპეტენტურ და ეფექტიან მუშაობას საინტერესოდ იხსენებენ ბატონი ლევან ნიკოლაიშვილი (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“), POSTV-გადაცემის მონაწილენი.

ერთი სიტყვით, საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული ყველა(!!!) „მემუარისტი“ მადლიერებით იხსენებს მათ, ვინც თითო აგური დადო ამ ისტორიული მოვლენის დაგვირგვინებაში...

ყველა, გარდა... ერთი ვინმე ქალბატონისა, რომელიც ცდილობს დემაგოგიურად და ურცხვად „მიიტაცოს“ ქართველი საზოგადოების ღვაწლი მაშინ, როცა სტამბულის სამიტის გადაწყვეტილებასთან არ ჰქონია სულ პაწია შეხებაც კი. დიახ, არ ჰქონია არც მას, არც მის სანათესაოს და პროტეჟეებს და არც მისი ქვეყნის შესაბამის სამსახურს.

...და არც შეიძლებოდა ჰქონოდა(!)

სად მაშინდელი(!) საფრანგეთის საგარეო უწყების საშუალო, ლამის რიგითი თანამშრომელი და სად... პრეზიდენტები – კლინტონი, ელცინი, დემირელი, შევარდნაძე!

**...მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, მით უმეტეს, ცრუპენტელობას და უტიფრობას!!! არ შევეხები მის ანტისაიმპიჩმენტო გამოსვლას პარლამენტში. მხოლოდ ერთ წატრაბახებაზე ვრეაგირებ: მე გავიყვანეო რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოდან!..**

შევარდნაძე რა შუაშიაო, შესაძლოა ესეც იკადროს და იკითხოს ამ ქალბატონმა... და, საერთოდ, ამ პროცესის მონაწილე რომელიმე ქართველის გვარ-სახელი თუ ახსოვს ?

არადა, ევროპულად(!) ნასწავლ-გაზრდილმა(!) დიპლომატმა ის მაინც უნდა იცოდეს, რასაც ლამის აკვანშივე გვასწავლიდნენ ქართველი დედები და ბებიები: იცოდე განსხვავება მადლიერებასა(!) და უმადურობას(!) შორის.

და მადლიერება-უმადურობის გარჩევა თუ არ იცი, მაშინ კაპიკია შენი ფასი, გინდ პარიზში იყავ დაბადებული და გინდ... დიდ ჯიხაიშში. ამას, მისივე ლექსიკონი რომ მოვიშველიოთ, ჰქვია... „ქადჟობა“!

უმადურობა, როგორც უზნეობის ერთერთი გამოხატულება, უცხო რომ არ იყო ამ ქალბატონისთვის, ეს ადრეც გამოჩნდა, უმალ, როცა საქართველოს „პირველ დიპლომატად“ დანიშვნისთანავე „რევოლუციური წმენდა“ მოაწყო უწყებაში და სამინისტროდან უხეშად „გამოყარა“ ყველა, ვინც საქმე იცოდა და გამოცდილებასთან ერთად ავტორიტეტი ჰქონდა.

მერე რაც მოხდა, გვახსოვს...

კიდევ მერე, ქართული პოლიტიკის ვარსკვლავად მოინდომა ამობრწყინება და... მართლაც, დრო იყო ისეთი, რომ მას სჭირდებოდა ფართო და სერიოზული მხარდაჭერა და...

**ახლა თავმდაბლობის დრო არ არის და ამიტომ უნდა მივანიშნო მავან ოცნებისტებს, რომ... არ უნდა დაგვეტოვებინეთ მარტო, საპრეზიდენტო კანდიდატის მართებული კრიტიკისას. პოლიტიკური პრაგმატიზმის დროსაც არ უნდა „გადაგვეყლაპა“ მისი უტიფრობა, სწორედ ამ „შეცდომის“ შედეგს ვიმკით ბოლო წლებია.**

ალბათ განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ამ ქალბატონმა სანანებელი გახადა და ჩაჰკლა უაღრესად ბრძნული ჩანაფიქრი – თაობების და ისტორიული წარსულის გაერთიანება-გამთლიანების იდეა, განივთებული პრეზიდენტად პირველი რესპუბლიკის ემიგრაციის წარმომადგენლის არჩევით!

ვიმეორებ, ეროვნულ-იდეის განხორციელება არ გამოვიდა, არა მისი „უტოპიურობის“ გამო, არამედ... რბილად რომ ვთქვათ, თეორიულად მიმზიდველი (ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი) კანდიდატის ამბიციური სიბრიყვის გამო!

დანარჩენი სხვა დროს.

## „ოოო, მელანო, მელანო! ისევ ეწევი პაპიროსსა?“

**ოცამდე „საყვედური მივიღე“ იმის თაობაზე, რომ მხოლოდ კომენტარად დავტოვე და არ გამოვაქვეყნე დამოუკიდებელ პოსტად ის პაწია „დიალოგი“ ბატონ გიორგი ნიშნიანიძესთან, ჩემს ფეისბუკელ მეგობართან, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.**

**გიორგი ნიშნიანიძე:**

**სალომე ზურაბიშვილის მინისტრობისას, 2006 წელს რუსებმა სამხედროები და ტექნიკა გაიყვანეს საქართველოდან...**

**ომი დაიწყო ფოსტალიონმა (ნოდარ დუმბაძე „მე ვხედავ მზეს“)...**

**ნუგზარ ფოფხაძე:**

... არ არის კორექტული შეხედულება და შეფასება, რაც ქვეტექსტით ეთანხმება ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, რომ მისი პირადი ძალისხმევით მოხდა რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან.

ამას მხოლოდ თქვენ არ სცოდავთ. ფეისბუკი სავსეა ქალბატონი სალომეს მომხრეთა აღტაცებული ყიჟინით ამ თემასთან დაკავშირებით.

...იმ დროს, როცა რუსეთის ჯარების გაყვანის პრინციპული გადაწყვეტილება მიიღეს სტამბოლის სამიტზე (1999 წ. 18 ნოემბერი), ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, არცთუ გადამწყვეტ(!) თანამდებობაზე. არამცთუ მას, იმ დიდი ქვეყნის პრეზიდენტს, მთავრობას და საგარეო საქმეთა სამინისტროსაც კი არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, რაიმე, სულ პაწია შეხებაც კი ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის ცხოვრებისთვის ამ გადამწყვეტ და ისტორიულ მოვლენასთან.

**ასე რომ, ნუ დაიგრალებს ქალბატონი პრეზიდენტობის კანდიდატი, რომ მან აიძულა(!!!) პრეზიდენტები: კლინტონი, ელცინი, დემირელი და შევარდნაძე ხელი მოეწერათ ამ გადაწყვეტილებაზე.**

ასევე, მას, ფრანგ მოქალაქეს (ვიმეორებ: იქაური საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ჩვეულებრივ თანამშრომელს) და ამ ქვეყნის პრეზიდენტსა და მთავრობას არ (!!!) დაუდგენია(!!!), რომ გაყვანის პროცესი დასრულდებოდა 2006 წლის 1 იანვრამდე...

რეალურად ეს „გაყვანა“ მოხდა მხოლოდ ნაწილობრივ, რამეთუ გუდაუთის და ეშერის ბაზები ხელუხლებელი დარჩა. ქართული დიპლომატიის ამ „ჩავარდნაში“ (რუსეთის მხრიდან სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების „ფეხებზე დაკიდება“), არც თუ მცირე დამსახურება მიუძღვის მის ყოფილ კოლეგას ბატონ ლავროვს, რომელმაც „სუფთად“ მოუგო მის მოწინააღმდეგეს, „ბრწყინვალე“(!!!) დიპლომატს.

აი, ამ „მარცხის“ გახსენება კი უჭირს ქალბატონ კანდიდატს, არადა, უპრიანი კი არის „დაიბრალოს“ და აიღოს საკუთარ თავზე მორალური პასუხისმგებლობა – ქართული დიპლომატიის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, რომელიც დღემდე აღტაცებულია თავისი „კერპით“ თუ „იდეალით“ – ოკუპანტი ქვეყნის “ბრწყინვალე დიპლომატის“ პროფესიონალიზმით. ეს მიდგომა, ჩვენი მხრიდან, რა თქმა უნდა, რიტორიკულია. ნეტავი, მართლა ისე იყოს მოწყობილი ეს ქვეყანა და მსოფლიო, რომ ერთ პიროვნებას, რაგინდ უმაღლეს თანამდებობასაც არ უნდა იკავებდეს ის, შეეძლოს მსგავსი საბედისწერო გადაწყვეტილებების მიღება. ასეთი ერთპიროვნული „გმირობის“ გამონაკლისი, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩვენში, ისიც ან პრეზიდენტი ან ამ პოსტის მაძიებელი ერთი რომელიმე კანდიდატი შეიძლება აღმოჩნდეს.

დღესავით ნათელია, რომ მაშინ, ვინც არ უნდა ყოფილიყო საგარეო საქმეთა მინისტრი (ვინმე სიკინჭილაშვილი თუ ვინმე ზურაბიშვილი), მას თანამდებობრივად მოუწევდა ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად საჭირო ფორმალური სამუშაოების ჩატარება (ანუ, კოლექტიურ „ლავროვთან“ სატელეფონო თუ წერილობითი კომუნიკაცია და... მისდამი, როგორც „ბრწყინვალე დიპლომატისადმი“ სიმპათიებით განწყობა).

ასე რომ, როცა ნებისმიერი ჩინოსანი, მათ შორის, პრეზიდენტობის ქალბატონი კანდიდატი, წარბის შეუტოკებლად, საკუთარი (და არა მხარდამჭერთა) პირით აცხადებს, რომ მისი პირადი, პიროვნული ურთიერთობებით, რაღაც ზებუნებრივი მონაცემების გამოყენებით თუ ძალისხმევით მოხდა ჟანდარმი და ოკუპანტი სახელმწიფოს კბილებამდე შეიარაღებული კონტინგენტის და სათანადო ტექნოლოგიურად აღჭურვილი ბაზების გაყვანა-დახურვა, არის, რბილად რომ ვთქვათ, საკუთარი ე.წ. დამსახურების გაზვიადების მცდელობა, ხოლო ხისტად – ელემენტარული ცრუპენტელობა და მოსახლეობის (ამომრჩევლების) უტიფრად დაბოლება.

**ვიმეორებ: ნებისმიერი ადამიანი, ვინც იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე იქნებოდა, უნდოდა თუ არა, მოწონდა თუ არა, აუცილებლად გახდებოდა მონაწილე ამ პროცესის. ისე, თუ „თამაში“ და ბაქიბუქობა გვინდა, მაშინ ქალბატონ სალომეს ლოგიკით უფრო უპრიანი იქნებოდა ეს „დამსახურება“ პრეზიდენტ სააკაშვილისთვის მიგვეწერა. და ეს ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვლებოდა და არც არავის გაუკვირდებოდა ისევე, როგორც ნატოს კარზე მიკაკუნების, ავტობანის მშენებლობის მსოფლიო ბანკთან პრინციპული გადაწყვეტილების ავტორის – ედუარდ შევარდნაძისთვის, ბათუმის უმნიშვნელოვანესი „გვირაბის – ასლან აბაშიძისთვის და არაერთი კაი საქმის ავტორობის სხვებისთვის „ჩამორთმევა“ და საკუთარ დამსახურებათა ყულაბაში „ჩაჩხრიალება“. აღარაფერს ვამბობ, ქართული სახელმწიფოს შექმნაზე და... რისი დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, გიორგი ბრწყინვალე, პატარა კახი...**

**დასკვნა: დროა, ყველა მორჩეს პოლიტიკურ კეკლუცობას და ელემენტარულ ცრუპენტელობას და, რა თქმა უნდა, ეროვნული გმირის მანტიის მოსხმას...**

**P.S.** „ტაბულა“ – ტელეეკრანზე „მძიმე კაცთან“ საუბრისას (26 ივნისი, 2014 წ.) ქალბატონმა „პრეზიდენტობის კანდიდატმა“ წამყვანის შეკითხვის პასუხად გვამცნო, რომ... თურმე, ერთხელ(!) მოუწევია მარიხუანა და არ მოწონებია. ასევე, ერთხელ(!) დაუყნოსავს კოკაინიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც არ მოწონებია.

ფაქტების (მაგალითად, რუსის ჯარის გაყვანასთან დაკავშირებული) სიზუსტესთან ქალბატონი „პრეზიდენტობის კანდიდატის“ მეტისმეტად ფაქიზი დამოკიდებულება რომ ვიცი, ნურავინ დამძრახავს იმის გამო, რომ პაწია ეჭვი შევიტანო მის გულწრფელობაში... ჰოდა, დავწერე თუ არა ეს სტრიქონები და უცებ გონებაში ამოტივტივდა მსახიობ ვ.ნინუას პირით გაჟღერებული „სასიძო კნიაზის“ ერთი რეპლიკა კინო-ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“: „ოოო, მელანო, მელანო! ისევ ეწევი პაპიროსსა?“



ამ რეპლიკის შემდეგ, მე ისღა დამრჩენია კვლავ შევძახო: ტაში, კუკური!!!

**ნუგზარ ფოფხაძე**

# ქოროღოს ციხის დანგრევა მხოლოდ უცხოელმა გაიგო?

## „რაც ამ კოშკს დამართეს, სისხლის სამართლის დანაშაულია“



ეს ფოტო 2020 წელსაა გადაღებული.

Giorgi Burjanadze (Courtesy Photo)

**ხადის ხეობაში თითქმის მიწასთან არის გასწორებული მეათე საუკუნის ქოროღოს კოშკი – საზოგადოებამ მისი ნგრევის შესახებ მაშინ გაიგო, როცა ეროვნული ძეგლის სტატუსის მქონე ნაგებობა სრულად იყო დაშლილი. ქოროღოს ციხესთან მომუშავე ადამიანები, ვინც, სავარაუდოდ, კოშკი დაშალა, ამბობენ, რომ ეს რეაბილიტაციის პროცესის ერთი ეტაპია და მალე კოშკს ხელახლა ააშენებენ.**

**ხელოვნებათმცოდნეები, რესტავრატორები და ისტორიკოსები გაოგნებულები არიან ისტორიული მემკვიდრეობის განადგურებით. მათი შეფასებით, ზიანი გამოუსწორებელია – თავიდან აშენებული კოშკი მე-10 საუკუნის ძეგლად ვეღარ ჩაითვლება.**

საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ძეგლის ნგრევის ამბავი პოსტ ფაქტუმ და შემთხვევით გაიგო. 10 ოქტომბერს „მემკვიდრეობის პლატფორმამ“ გამოაქვეყნა ბრიტანელი ფოტოგრაფის, ავტორისა და პუბლიცისტის, პიტერ ნეისმიტის გადაღებული ფოტო, სადაც უკვე დაშლილი ქოროღოს ციხე იყო გამოსახული. პიტერ ნეისმიტი ბრიტანეთში „საქართველოს ეროვნული ფონდის“ დამფუძნებელი და საქართველოში საფეხმავლო ტურიზმის მოყვარულია. ის რადიო თავისუფლებას უყვება, რომ ორი კვირის წინ ხადის ხეობაში სალაშქროდ იყო ჯგუფთან ერთად, რომლის წევრებისთვისაც საქართველოს მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები უნდა ეჩვენებინა და თვალებს ვერ უჯერებდა, როცა ქოროღოს ციხესთან ასულს შენობის ნაცვლად ნანგრევების გორა დახვდა.

**„ეს თავზარდამცემი, საშინელი ამბავია! ხადის ხეობას ისედაც არ აკლდა პრობლემები, მაგრამ ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის ასე დანგრევა დაუჯერებელი უბედურებაა!“** – გვეუბნება **პიტერი.** ფოტო, რომელიც მან ქოროღოს ციხესთან გადაიღო, თბილისში დაბრუნებისას შეადარა ამ ციხის ერთი წლის წინ გადაღებულ ფოტოს, რაც ინტერნეტში იძებნება. პიტერის გადაღებულ ფოტოზე ჩანს, რომ იმ ადგილას, სადაც ერთი წლის წინ კოშკი იდგა, ახლა უწესრიგოდ დაყრილი ქვების გროვაა. ერთი წლის წინ გადაღებულ ფოტოზე კი ჩანს კოშკი, რომელსაც მხოლოდ ერთი მხარე აქვს ჩამოშლილი.

**ქოროღოს ციხე, რომელიც სოფელ მიდელაურთას თავზე, მაღალი მთის კალთაზე, კლდოვანი ქარაფის პირას მდებარეობს, ღვთისმშობლის ეკლესიასთან, მცირე სამლოცველოსა და აკლდამასთან ერთად ერთიან კომპლექსს ქმნის – როგორც მთლიანად კომპლექსს, ისე ცალკე კოშკს და ეკლესიას ეროვნული ძეგლის სტატუსი 2007 წლიდან აქვთ.**

საქართველოში სულ 8 ათასამდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და აქედან მხოლოდ 1014-ს აქვს ეროვნული ძეგლის სტატუსი. ეროვნული ძეგლის სტატუსი მაშინ ენიჭება ნაგებობას, თუ მას აქვს განსაკუთრებული მხატვრული ან ესთეტიკური ღირებულება, ან თუ იგი დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენასთან, პიროვნებასთან, ერის განვითარების ეტაპსა და გამორჩეულ ზოგად ეროვნულ ღირებულებებთან. ქოროღოს კომპლექსს ეს სტატუსი პრეზიდენტის ბრძანებულებით მიენიჭა.

ადამიანები, ვინც ამ ადგილს კარგად იცნობენ, გამორიცხავენ, რომ კოშკი ბულდოზერით, ტრაქტორით ან რაიმე სხვა მანქანით დაენგრიათ. ქოროღოს ციხეც და ეკლესიაც საკმაოდ მიუდგომელ მთაზეა აშენებული და ამ ადგილას მძიმე ტექნიკის მიყვანა თითქმის გამორიცხულია.



კოშკის ნაშალი მასალა და კოშკის ფრაგმენტები

**ფოტოების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ, არც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს და არც კულტურის სამინისტროს არ განუმარტავს, როგორ და ვინ დაანგრია ქოროღოს კოშკი ან არის თუ არა მისი დაშლა რეაბილიტაციის პროცესის ნაწილი.**

სააგენტოს რამდენიმე თანამშრომელმა მედიასა და სოციალურ ქსელებში თქვა, რომ კოშკის დაშლა გადაუდებელი ღონისძიება იყო, ვინაიდან საფრთხეს უქმნიდა მის გვერდით მდებარე ეკლესიას. პროექტი, რომლის მიხედვითაც კოშკი უნდა გამაგრდეს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ დაამტკიცა და სადავო არ არის. ითქვა ისიც, რომ კოშკი, რომლისგანაც ახლა მხოლოდ ქვების გროვაა დარჩენილი, არა მეათე საუკუნის ნაგებობა, არამედ გასულ საუკუნეში აშენებული არაავთენტიკური ძეგლია.

ამ მოსაზრების პასუხად ხელოვნებათმცოდნე თამთა დოლიძემ გამოაქვეყნა 1952 და 1993 წლებში გადაღებული ფოტოები. ორივეზე ქოროღოს ძეგლია. პირველზე – დიდი ბზარებით, მეორეზე – ბზარების ნაკვალევით.

**„პირველ ფოტოზე ჩანს დიდი ბზარები, მეორე ფოტოზე კი მოვხაზე ძალიან წვრილი ფიქლით ამოყვანილი ჩანართები, რომლებიც ზუსტად ემთხვევა რესტავრაციამდელ ბზარებს. თუ კოშკს დაშლიდნენ და თავიდან ააშენებდნენ, ბუნებრივია, არც ბზარების ადგილები შენარჩუნდებოდა და არც მათი წვრილი ფიქლით ამოვსება იქნებოდა საჭირო. ესე იგი, ძეგლზე ჩატარდა რესტავრაცია, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ნამდვილად ავთენტური იყო. ყველა რესტავრირებულ ძეგლს არაავთენტური და ამის გამო მარტივად გასამეტებელი თუ ვუწოდეთ, მაშინ გავასწოროთ მიწასთან სვეტიცხოველი, წრომი, არც ისინი არიან ავთენტურები“,** – ხსნის ის.

თამთა ქოროღოს კომპლექსის სანახავად გასულ კვირას იყო ასული ხადის ხეობაში. ის ამბობს, რომ უკვე დანგრეული ციხის გარდა საყურადღებოა ეკლესიაში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებიც, რომელიც საეჭვო მეთოდოლოგიით და ხარისხით ტარდება.

რაც შეეხება ციხეს, თამთას არ სჯერა, რომ არ არსებობდა ამ ძეგლის გადარჩენის შესაძლებლობა. მას არც ის აშინებს, რომ მიწასთან გასწორებული კოშკის ხელახლა აშენება იგეგმება.

**„მეათე საუკუნის ძეგლი ვეღარ იქნება და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რის საფუძველზე მიიღეს ასეთი უკიდურესი გადაწყვეტილება. დროს უკან ვეღარ დავაბრუნებთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს არ იქცეს რეაბილიტაციის მიღებულ პრაქტიკად, ძეგლის დაშლა-აწყობად“.**

კოშკი რომ ნამდვილად მეათე საუკუნისაა, ავთენტურია და 1954 წელს მასზე მხოლოდ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, იციან ძეგლთა დაცვის სააგენტოშიც. სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც კომპლექსის რეაბილიტაციის გეგმის შესასყიდად არის შედგენილი, ნათლად წერია, რომ ზურგიანი კოშკი მეათე საუკუნის ნაგებობაა, ამ კომპლექსში შემავალი შენობებიდან ყველაზე ძველია და ეროვნული ძეგლის სტატუსი აქვს.

ამ დოკუმენტში „მძიმედ“ მხოლოდ ეკლესიის მდგომარეობაა შეფასებული, კოშკზე კი ნათქვამია, რომ ეს ამ კომპლექსის ყველაზე ძველი შენობაა.

2019 წელს ქოროღოს ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული პაატა კურტანიძეა. სწორედ მას ეკუთვნის გეგმა, რომლის მიხედვითაც ახლა მეათე საუკუნის ძეგლი ფაქტობრივად განადგურებულია. ამ საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაში კურტანიძემ სახელმწიფოსგან 37 700 ლარი მიიღო. რადიო თავისუფლებამ სცადა მასთან დაკავშირება, თუმცა მან ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემა არ ისურვა.

**„წარმოუდგენელი ამბავია!“** – ეუბნება რადიო თავისუფლებას **ნანა მეფარიშვილი**, არქიტექტორი და ტრადიციული ქართული საცხოვრისის მკვლევარი.

**„რასაკვირველია, (კოშკს) დაზიანება ჰქონდა, მაგრამ არაფერი არ სჭირდა საიმისო, რომ ასეთი სასწრაფო წესით და არაპროფესიონალური გზით ყოფილიყო დაშლილი. დაშლილს ვერც ვარქმევ, აშკარად დანგრეულია“. მას ეეჭვება, რომ კოშკს შესაძლოა გვერდით მდგომი ეკლესია დაეზიანებინა. ძეგლები ერთი მეტრის დაშორებით იდგა და ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მომხდარიყო, ეკლესიის სახურავს კოშკიდან ჩამოვარდნილი ქვა მოხვედროდაო,** – ამბობს **მეცნიერი.**

ნანას არაერთ მნიშვნელოვან სარესტავრაციო პროექტზე აქვს ნამუშევარი, მათ შორის მუცოს აღდგენაზე პირიქითა ხევსურეთში. ის გვიხსნის, რომ ქვით ნაშენი ნაგებობების დაშლისას, თუკი მისი გადარჩენის სხვა გზა არ არის, გარდა ხელახლა აწყობისა, ყველა დეტალის სათანადო აღრიცხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ქოროღოს ციხის განსაკუთრებით გამორჩეული ქვა ქტიტორების რელიეფია, რომელზეც გამოსახული არიან ეკლესიის მაშენებლები ხელში ეკლესიის გეგმით, რაც საკმაოდ იშვიათი გამოსახულებაა. „გეგმით მაშენებლები“ არა მხოლოდ ქართული არქიტექტურისა და იკონოგრაფიისთვის, მსოფლიო მასშტაბითაც საყურადღებო გამონაკლისია.

**„თუ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაზე რაიმე ილუსტრაცია იძებნება ხოლმე დასავლურ პუბლიკაციებში, ერთ-ერთი ქოროღოს რელიეფებია. ბედის ირონიაა, ათასი წლის წინათ ქოროღოში გაკეთებული მანიფესტი: საქმის წარმოება გეგმით უნდა განხორციელდესო, სწორედ ქოროღოში დაირღვა“** – წერს ფეისბუკზე **ირინე გიგიაშვილი**, ხელოვნების ისტორიკოსი და ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრის თანამშრომელი.

ქვა, რომელზეც ქტიტორები არიან გამოსახული, ახლა კოშკის ნანგრევებშია ჩაყოლილი და, დიდი ალბათობით, დაზიანებულია. იმავე მდგომარეობაშია კოშკის წარწერიანი ქვა, სიტყვებით: „ქრისტე შეიწყალე ქართ“.

**„2013 წელს გადავიღე ქოროღოს კომპლექსი, მას შემდეგ მანდ არ ვყოფილვარ. ბზარების ამოვსება და გამაგრება თავისუფლად შეიძლებოდა. ის, რაც ამ კოშკს დამართეს, სისხლის სამართლის დანაშაულია და ყველა დასასჯელია, ვინც ეს გააკეთა“,** – ამბობს არქეოლოგი **გიორგი გოგოჭური.**

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების ან განადგურების სასჯელი ჯარიმა ან თავისუფლების ორ წლამდე აღკვეთაა. ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განზრახ დაზიანების შემთხვევაში სასჯელი იმატებს და ორიდან ოთხ წლამდე პატიმრობაა, ამგვარი ძეგლის განადგურება კი ისჯება თავისუფლების ვადის აღკვეთით ოთხიდან რვა წლამდე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების ფაქტების გამო დაწყებული გამოძიებები, როგორც წესი, არასოდეს მთავრდება დამნაშავის პოვნით და დასჯით. 2017-2022 წლებში ამ მუხლით გამოძიება 75 შემთხვევაზე დაიწყო და მათგან გახსნილია მხოლოდ 7 საქმე.

ხადის ხეობაში ქოროღოს გარდა ათობით ციხეა – ეს ადგილი ისტორიაში „60 ციხის ხეობის“ სახელით არის ცნობილი, რომელთა ნაწილი თავდაცვითი ნაგებობების გარდა განძის სამალავადაც გამოიყენებოდა. მაგალითად, ქოროღოს კომპლექსის სამალავში აღმოჩენილი XI საუკუნის სპილოს ძვლის ღვთისმშობლის ხატი, ჯვარი მაცხოვრის გამოსახულებით და ჭედური ფირფიტები დღეს ეროვნული მუზეუმის ფონდების ნაწილია. ქოროღოს ციხის დანგრევის შემდეგ სახელმწიფოს არ განუმარტავს, რა ბედი ელით ხადის ხეობის სხვა ძეგლებს და იგეგმება თუ არა სხვა ისტორიული ნაგებობების რესტავრაციაც. არც ის არის ცნობილი, რატომ დადგა დღის წესრიგში თავად ქოროღოს ციხის კომპლექსის რეაბილიტაციის საჭიროება და თანაც ასეთი რადიკალური ზომების გამოყენებით.

**P. S. ხადის ხეობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის კიდევ ერთი საფრთხე, გარდა საეჭვო კვალიფიკაციის რესტავრაციებისა, კობი-ქვეშეთის ახალი მაგისტრალია, რომელმაც საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელი გზა უნდა დაამოკლოს. გარემოს დამცველები და კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტები თავიდანვე საშიშად მიიჩნევდნენ ამ გზის მშენებლობას ხადის ხეობის უნიკალური ლანდშაფტისა და მდიდარი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლებისთვის. არქიტექტურის გარდა ხეობა საინტერესოა არქეოლოგიური თვალსაზრისითაც.**

**იმის საილუსტრაციოდ, რომ ახალი გზის გაყვანისას სრულიად უგულებელყოფილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი, გიორგი გოგოჭური იხსენებს BP-ის მიერ ნავთობსადენის გაყვანის პროცესს საქართველოში, როცა ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც მილსადენი უნდა გასულიყო, ჯერ არქეოლოგები მუშაობდნენ, რომ გამოერიცხათ არქეოლოგიური ძეგლების განადგურების საფრთხე. ხადის ხეობაში არც კულტურული ძეგლების ნუსხა შემდგარა და არც არქეოლოგებს უმუშავიათ, მეტიც, გვირაბების გაყვანისას ტერიტორიას აფეთქებენ, რაც ამ დრომდე საღად მოღწეულ შენობებსაც აზიანებს.**



ფოტომასალის წყარო: ზაქარაია, პ. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია. თბ. 2002. კიკაჩეიშვილი, პ. ქოროღოს ზურგიანი კოშკი: ძეგლის პასპორტი. 1993.

Tamta Dolidze (Courtesy Imag

**ნასტასია არაბული,**
რადიო თავისუფლება.

# გამარჯვება, რომელიც მარცხის ტოლფასია!



**პოლონეთში, საპარლამენტო არჩევნები დიდი სამოქალაქო აქტივობის ფონზე ჩატარდა. საზოგადოებას, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, ყველაზე მეტად აინტერესებდა, მესამეჯერაც თუ გაიმარჯვებდა მმართველი მემარჯვენე პარტია „კანონი და სამართლიანობა“. მართლაც, „კანონი და სამართლიანობა“ ხმების 35 პროცენტითა და 194 მანდატით პირველ ადგილზე გავიდა. მეორე ადგილი მთავარ ოპოზიციურ ბლოკს „სამოქალაქო კოალიციას“ ერგო ხმების 30 პროცენტითა და 157 მანდატით. მესამე და მეოთხე ადგილები კოალიცია „მესამე გზამ“ და „მემარცხენეებმა“ გაიყო. ბოლო ადგილი ულტრა-მემარჯვენე კონფედერაციას შეხვდა. მმართველი პარტია პირველ ადგილზე კი გავიდა, მაგრამ ეს გამარჯვება არ კმარა იმისთვის, რომ მესამეჯერ მართოს ქვეყანა.**

პოლონურ მასმედიაში ითქვა, გამარჯვებულმა წააგო, ანუ, მოიპოვა გამარჯვება, რომელიც მარცხის ტოლფასიაო. საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, მთავარ ოპოზიციურ კოალიციას, დონალდ ტუსკის ლიდერობით, ქვეყნის სათავეში მოსვლის რეალური შესაძლებლობა გაუჩნდა, თუმცა, არც ძალიან მარტივადაა საქმე: უპირველეს ყოვლისა, მმართველმა პარტიამ უნდა სცადოს, კოალიციის შეკოწიწება, რაც პრაქტიკულად მიუღწეველია. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა დონალდ ტუსკის ბლოკს კოალიციის შექმნის უფლება, რომელშიც „მესამე გზა“ და „მემარცხენეები“ უნდა შევიდნენ. ეს სამი პოლიტიკური ძალა კი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.

მათი ერთადერთი გამაერთიანებელი იდეა პარტიის „კანონი და სამართლიანობა“ გადარჩევაა. სანამ ეს სამი პოლიტიკური ძალა საერთო ენას ვერ გამონახავს, მმართველობაში კონსერვატორები დარჩებიან. მემარცხენე ლიბერალური კოალიციის შექმნისთვის, ეს სამი პარტია მთავარ საკითხებზე უნდა შეჯერდეს: გადასახადები, აბორტი და მიგრანტები, რაზეც მათ სრულიად განსხვავებული პოზიციები აქვთ. და რომც შეიქმნას ეს კოალიცია, ძნელად თუ შესძლებს არსებულ პრობლემებთან გამკლავებას.

ვარშავამ, უპირველეს ყოვლისა, ბრიუსელთან გაფუჭებული ურთიერთობა უნდა მოაგვაროს, რომელმაც პოლონეთს 75 მილიარდი ევროს დოტაცია გაუყინა. ეს ფული ახალ მთავრობას ძალიან დასჭირდება ახალი რეფორმებისთვის. გარდა ამისა, ახალმა მთავრობამ გერმანიასთან როგორმე უნდა დაალაგოს ურთიერთობები. ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის ჯერ კიდევ მაშინ გაფუჭდა, როცა კაჩინსკის მთავრობამ გერმანიას რეპარაციები მოსთხოვა ნაცისტური გერმანიის გამო. პოლონეთი, სულ მცირე, ერთ ტრილიონ ევროს ითხოვს. გერმანია პასუხობს, რომ ამ თემის განხილვა უკვე დამთავრებულია. ახალი მთავრობისთვის, დიდი თავის ტკივილი იქნება პოლონეთის პოლარიზებული საზოგადოება. როგორც არჩევნებმა აჩვენა, პოლონეთის საზოგადოება გახლეჩილია. კონსერვატორებს, უფრო მეტად, მხარს სოფლის მოსახლეობა უჭერს, ლიბერალებს კი, ქალაქის. ამიტომ, მომავალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა დაპირისპირების დაძლევა და პოლონელი ხალხის გაერთიანებაა.

ცხადია, ძნელია ამის გაკეთება, მითუმეტეს, რომ, ახლა, პოლონეთში დიდი ინფლაცია და უმუშევრობაა. სოფლის მეურნეობის სექტორში ეს პრობლემები ყველაზე მკვეთრადაა გამოკვეთილი. დონალდ ტუსკმა უკვე განაცხადა, რომ ის, როგორც სხვა კონსერვატორები, უკრაინის მარცვლეულზე ემბარგოს მომხრეა. ვარაუდობენ, რომ პოლონეთი საგარეო პოლიტიკის სხვა საკითხებში არსებულ პოზიციას არ შეცვლის. ორივე პოლიტიკური ძალა პროუკრაინული და ანტირუსული პოლიტიკის მომხრეა.

# მტრულად დადებული ხელშეკრულებები მშვიდობას ვერ მოიტანს...



**ისრაელსა და პალესტინაში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიოს ყურადღება ახლო-აღმოსავლეთზე გადაიტანა. უკრაინის ომი, თითქოს, დავიწყებას მიეცა, თან, ძნელი სათქმელია, რამდენი ხნით. მესამე მსოფლიო ომზე და ამ საშიშროების გამომწვევ მიზეზზე, ისრაელ-პალესტინის სისხლიან კონფლიქტზე, ალაპარაკდა მთელი მსოფლიო. ისრაელისა და პალესტინის ჯახი ყველაზე ხანგრძლივი და გახმაურებული კონფლიქტია მსოფლიოს ისტორიაში. დაპირისპირება 1947 წელს დაიწყო, როცა ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა. ამ გეოპოლიტიკურ სიახლეს მთელი არაბული სამყარო აღუდგა წინ, რამაც სამხედრო შეტაკებებს მისცა ბიძგი.**

ისრაელსა და არაბებს შორის ექვსჯერ იყო ომი, ბოლოს, 2006 წელს, ლიბანსა და ისრაელს შორის. არაბებს მიაჩნიათ, რომ ისრაელის სახელწიფო პალესტინის ძირძველ მიწებზე გამაგრდა, რასაც დასავლეთმა შეუწყო ხელი. მოსახლეობაში, ორივე მხარეს, სიძულვილი და რადიკალიზმი გამეფდა. ერთმანეთის მიმართ ასეთი გაღიზიანებული განწყობა ხშირ შეტაკებებს იწვევს, მათ შორის, ტერორისტულ აქტებსაც. ამ მწვავე, დაუსრულებელმა დაპირისპირებამ 100 ათასზე მეტი ადამიანი შეიწირა და მილიონობით ლტოლვილი მისცა სამყაროს. მსხვერპლის რაოდენობა დღითიდღე იზრდება. კონფლიქტი მთელი მსოფლიოს თავისტკივილია. იყო მისი მშვიდობიანად მოგვარების რამდენიმე საერთაშორისო მცდელობა. მათ შორის, ყველაზე ეფექტური 1993 წლის ოსლოს ცნობილი ხელშეკრულებაა, რომელსაც წელს 30 წელი შეუსრულდა. ხელშეკრულებას მომხრეც ჰყავდა და მოწინააღმდეგეც. ოსლოს მოლაპარაკებამდე ორი წლით ადრე, პალესტინა-ისრაელის სასტიკი და ხანგრძლივი დაპირისიპირების კვალდაკვალ, ამერიკისა და რუსეთის ინიციატივით, მადრიდის სამშვიდობო კონფერენცია შედგა. სწორედ, მაშინ, გაჩნდა ფორმულა „ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ“, რომელიც მშვიდობის საგარანტიოდ, ისრაელის მიერ პალესტინისთვის ოკუპირებული ღაზას სექტორისა და მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის დათმობას გულისხმობდა. ისრაელის მაშინდელმა მემარჯვენე მთავრობამ ფორმულა კატეგორიულად უარყო.

1992 წელს, ისრაელის სათავეში მემარცხენე პოლიტიკური ძალა მოვიდა მსოფლიოში ცნობილი იცხაკ რაბინის მეთაურობით, რომლმაც გაიზიარა სამშვიდობო ფორმულა და პალესტინელებთან საიდუმლო მოლაპარაკებები დაიწყო, რომელთა ლიდერი ასეთივე ცნობილი იასირ არაფატი იყო. მოლაპარაკებები ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში შედგა, რომელიც ისრაელის საგარეოს საქმეთა მინისტრის მოადგილეს, იოსი ბეილინსა და მის პალესტინელ კოლეგას მაჰმუდ აბასს მიჰყავდათ. მოლაპარაკებების შესახებ არაფერი არ იცოდნენ ისრაელსა და პალესტინაში. მოლაპარაკებების დაწყებას ხელს უშლიდა ის ფაქტი, რომ ისრაელი არაფატის გუნდს ტერორისტულ ორგანიზაციად თვლიდა, მაგრამ გამოსავალი მაინც მოინახა: იასირ არაფატმა ოფიციალური დოკუმენტით აღიარა ისრაელი და უარი თქვა ტერორიზმზე.

1993 წლის აგვისტოს მოლაპარაკებებზე მოხდა გარღვევა: ორივე მხარე სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერას დათანხმდა. ცერემონია, 13 სექტემბერს, ვაშინგტონში გაიმართა, რომელსაც პრეზიდენტი კლინტონი მასპინძლობდა. მთელს მსოფლიოში გავრცელდა კადრები, რომელშიც ძველი მოსისხლე მტრები ხელს ართმევდნენ ერთმანეთს. ხელმოწერა ამერიკის დედაქალაქში კი მოხდა, მაგრამ თავად დოკუმენტი, ისტორიაში, ოსლოს ხელშეკრულების სახელით შევიდა, რომლის მთავრი პუნქტები, ისრაელის მიერ პალესტინისთვის აღნიშნული ტერიტორიების გადაცემა და, არაფატის მეთაურობით, პალესტინის მთავრობის აღიარება იყო. პალესტინა, თავის მხრივ, აღიარებდა ისრაელს და უარს ამბობდა ტერორიზმსა და ძალადობაზე. ხელშეკრულებაში ორი სახელმწიფოს, ისრაელისა და პალესტინის, სამომავლო თანაარსებობა აღიბეჭდა. ღიად დარჩა იერუსალიმის სტატუსის, პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნებისა და ებრაული დასახლებების საკითხები, რომელიც შემდგომ მოლაპარაკებებზე უნდა გადაწყვეტილიყო. 1994 წელს, ხელშეკრულების რეალიზაცია დაიწყო. ისრაელმა იერიჰონიდან და ღაზას სექტორიდან ჯარები გაიყვანა. არაფატი ღაზაში დაბრუნდა დროებითი მთავრობის შესაქმნელად. მოგვიანებით, პალესტინის პირველი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. იასირ არაფატი პალესტინის მთავრობის მეთაური გახდა ოფიციალურად. იმავე წელს, იცხაკ რაბინი და იასირ არაფატი ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატები გახდნენ. მთელი მსოფლიო ზეიმობდა ახლო აღმოსავლეთში დამყარებულ მშვიდობას, მაგრამ მშვიდობა მყიფე აღმოჩნდა.

ისრაელის და პალესტინის საზოგადოების ერთი ნაწილი კატეგორიულად არ ეთანხმებოდა ხელშეკრულებას. ორივე მხარე თვლიდა, რომ ამ დოკუმენტით უფრო მეტი დათმო, ვიდრე საპირისპირო მხარემ. ისრაელის ულტრანაციონალისტებმა პრემიერ-მინისტრი რაბინი ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადეს, რასაც მან ასე უპასუხა: **მინდა ხმამაღლა გითხრათ, გვეყო ამდენი სისხლი და ცრემლი!** მისი ეს სიტყვები მსოფლიოს მოედო. რადიკალები ორივე მხარეს ბობოქრობდნენ. მთელს რეგიონს მოედო ძალადობის ტალღა. თითქმის, ყოველდღე იფეთქებდა თავს რომელიმე პალესტინელი შაჰიდი, რასაც ისრაელის რადიკალებმა თავისებურად უპასუხეს: ჰებრონის ძველ ნაწილში, პატრიარქების აკლდამასთან, ებრაელმა რადიკალმა, ავტომატით, 29 მლოცველი მუსლიმი დაცხრილა, და იქვე მოიკლა თავი.

ყველაზე დიდი ტრაგედია 1995 წლის 4 ნოემბერს დატრიალდა, რომელმაც, ფაქტობრივად, ოსლოს ხელშეკრულება გადახაზა. იმ დღეს, ებრაელმა რადიკალმა, იგალ-ამირმა, თელ-ავივში, პრემიერ-მინისტრი რაბინი მოკლა, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს მსოფლიოში. მხოლოდ მას შეეძლო თავისი დაწყებული სამშვიდობო პროცესის დასრულება.

2000 წელს, ამერიკისა და ისრაელის ლიდერებმა, კემპ-დევიდში გამართული მოლაპარაკებების გზით სცადეს ოსლოს ხელშეკრულების გაცოცხლება, მაგრამ, მაშინ, პალესტინა, უკვე, ყალყზე იდგა. მოგვიანებით, კიდევ ერთი სისხლიანი პროცესი, მეორე ინტიფადა, ანუ, აჯანყება, დაიწყო და საკითხის მშვიდობიანი მოგვარების იმედი საბოლოოდ გადაიწურა.

2001 წელს, ისრაელში მემარჯვენე ძალებმა გაიმარჯვა, რომელმაც სამშვიდობო პროცესის ახალ გეგმაზე დაიწყო მუშაობა. მათი აზრით, პალესტინა ერთ ხმაზე არ საუბრობდა, რის გამოც, მათთან მოლაპარაკება უაზრობა იყო. ისრაელმა მეზობელ არაბ ქვეყნებთან ურთიერთობების მოგვარება პალესტინელთა გარეშე დაიწყო. დაიდო ხელშეკრულებები ეგვიპტესთან და იორდანიასთან. მოხდა გარღვევა გაერთიანებულ არაბთა საემიროებთან და საუდის არაბეთთან ურთიერთობებში, მაგრამ, რად გინდა! როგორც დღევანდელმა ამბებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, მშვიდობა რეგიონში პალესტინისა და ისრაელის ერთობლივი ძალისხმევის გარეშე ვერ დამყარდება. ისტორიამ აჩვენა, რომ ოსლოს ხელშეკრულება, შესაძლოა, არ იყო იდეალური, მაგრამ უკეთესი ჯერ არ გამოჩენილა.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

## გუტერეშმა თავისი განცხადებით ისრაელელები გააბრაზა

**მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ „ჰამასის“ თავდასხმები არ მომხდარა ვაკუუმში, პალესტინელი ხალხი 56-წლიან მგუდავ ოკუპაციას ექვემდებარება, – ამის შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა, ანტონიო გუტერეშმა განაცხადა.**

**მისი თქმით, პალესტინელებმა დაინახეს, რომ მათ მიწას მუდმივად შთანთქავდა დასახლებები და განიცდის ძალადობას, მათი ეკონომიკა დაიხრჩო, მათი ხალხი დევნილი იყო და მათი სახლები დაინგრა. ანტონიო გუტერეშმა ასევე აღნიშნა, რომ პალესტინელი ხალხის წყენა ვერ გაამართლებს „ჰამასის“ შემზარავ თავდასხმებს და ეს საშინელი თავდასხმები ვერ გაამართლებს პალესტინელი ხალხის კოლექტიურ დასჯას.**

**ისრაელის წარმომადგენელმა გაეროში გილად ერდანმა, გუტერეშის განცხადებებს „შოკის მომგვრელი“, „საშინელი“ და „რეგიონის რეალობისგან სრულიად მოწყვეტილი“ უწოდა.**

**„მისი კომენტარები არის ტერორიზმისა და მკვლელობის გამართლება. სამწუხაროა, რომ ასეთი შეხედულებების მქონე ადამიანი არის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც წარმოიშვა ჰოლოკოსტის შემდეგ“, – განაცხადა გილად ერდანმა. მან აგრეთვე დასძინა – „მისი განცხადების გამო, ჩვენ უარს ვიტყვით გაეროს წარმომადგენლებისთვის ვიზების გაცემაზე. ჩვენ უკვე უარი განვუცხადეთ ვიზაზე ჰუმანიტარულ საკითხებში გენერალური მდივნის მოადგილეს, მარტინ გრიფიტსს. დადგა დრო, რომ მათ გაკვეთილი ჩავუტაროთ“.**

# კიდევ ერთი ქართული ნონსენსი!

**სოციალურად დაუცველ შრომისუნარიან ადამიანებს, რომლებიც დასაქმებაზე უარს იტყვიან, შესაძლოა, სოცდაუცველის სტატუსი გაუუქმდეთ. ამჟამად დაახლოებით 200 000 შრომისუნარიანი ადამიანი იღებს სახელმწიფო შემწეობას და პარალელურად თავს არიდებს მუშაობას. ეს კატეგორია აკლდება შრომის ბაზარს და ბიზნესს, რომელიც ბოლო პერიოდში კადრების მწვავე დეფიციტს განიცდის.**

ახალ მექანიზმზე მუშაობა სახელმწიფოს უკვე დაწყებული აქვს. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ **გიორგი კაკაურიძემ** განაცხადა, სოციალურად დაუცველის სტატუსი არ უნდა იყოს იმისკენ მიდრეკილი, რომ მოსახლეობამ არ იმუშაოს.

**„შრომისუნარიანი ადამიანი უნდა მუშაობდეს. ამ მიზნით გვაქვს ჩვენ სწორედ საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამა. ეს არის პირველი ეტაპი. პროგრამამ მინიმუმ 2-3 წელი უნდა იმუშაოს. შემდეგში კერძო სექტორში არსებული ვაკანსიების ათვისება უნდა დავიწყოთ, მათ შორის. კერძო სექტორში ათასობით ვაკანსიაა, რომელსაც სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ იყენებს ის მოსახლეობა, რომელსაც აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი.**

**ჩვენი მიდგომა იქნება, რომ ეტაპობრივად შევძლოთ, მაქსიმალურად დასაქმდნენ ეს ადამიანები და ნაცვლად სოციალური შემწეობისა, თავიანთ შემოსავალზე იყვნენ დამოკიდებულნი. ცალკე თემა იქნება, რომ ჩვენ სოცდაუცველებს, ვინც დასაქმდებიან, შევუნარჩუნებთ პაკეტს, რაც აქვთ, მაგრამ ამავე დროს, შრომისუნარიანი ადამიანები უნდა იყვნენ მიდრეკილნი, რომ კერძო სექტორში იმუშაონ“,** – განუცხადა **კაკაურიძემ** „ინტერპრესნიუსს“.



უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამუშაოებში ჩართვის სურვილი ბიზნესის მხრიდანაც არაერთხელ გამოითქვა, თუმცა როგორც კერძო კომპანიების წარმომადგენლებისაგან ირკვევა, ბენეფიციართა კატეგორია დასაქმებაზე უარს ამბობს. ისინი შემწეობის დაკარგვის შიშით უარს ამბობენ უფრო მეტ შემოსავალზე, რომლის გამომუშავების შესაძლებლობა ეძლევათ.

ეკონომისტები ახალ მოდელზე მუშაობას დადებითად აფასებენ და იმასაც ამბობენ, რომ გადაწყვეტილება მალე უნდა მიიღონ, რათა დროში არ გაიწელოს. სოციალური დახმარება არ შეიძლება ყველას მიეცეს. „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტის **პაატა შეშელიძის** შეფასებით, დღესდღეობით უამრავ შრომისუნარიან ადამიანს ეძლევა შემწეობა, რაც ნონსენსია.

**„ეს არის დახმარება, რომელიც უმწეო მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ენიშნება. ისეთ ადამიანს, ვისაც რამე ფიზიკური ნაკლი აქვს, ტრავმა და ამის გამო ვერ მუშაობს, ან ასაკშია და ა.შ. ანუ, იმ ადამიანზეა საუბარი, ვინც არ არის ფიზიკურად შრომისუნარიანი.**

**დღეს ყველამ იცის, რომ უამრავ შრომისუნარიან ადამიანს ეძლევა შემწეობა, რაც ნონსენსია. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არ ფორმდება სათანადოდ, ინფორმაცია ყალბდება, ჯანმრთელობის მდგომარეობაც ყალბდება და სრულიად შრომისუნარიანი ადამიანი, რომელსაც აქვს არალეგალური სამუშაო, ითვლება სოციალური დახმარების მიმღებად, რაც არასწორია.**

**აქედან გამომდინარე, მკაცრად უნდა გაიყოს თვითონ ამ დახმარების არსი, მისი ფორმაც და პრინციპიც. ყველაფერს ერთი და იგივე სახელი არ უნდა დაერქვას, რადგან დამაბნეველი და არასწორია. ზედმიწევნით კონკრეტული უნდა იყოს მიდგომა, თუ ვის, რა შემთხვევაში და როგორი პირობით ეხმარები“...**

**2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საარსებო შემწეობა 650 475 მოქალაქემ მიიღო. მათგან 233 ათასზე მეტი ბავშვია. საბოლოოდ, აგვისტოს მონაცემებით, მთავრობის მიერ 2022 წლის პირველი მარტიდან ამუშავებული სპეციალური პროგრამით 43 304 ადამიანი დასაქმდა.**

**ბექა დანელია**

## თუ შრომისუნარიანი შემწეობის მიმღები უარს იტყვის მუშაობაზე, მას დახმარება შეუწყდება?!

---

**სამშობლო ჩვენი უებრო!..**

# მწარედ ნათქვამი სიმართლე სჯობს ტყუილს ნათქვამს ტკბილადა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ 850 წლის რუსთაველს მივუძღვენი ერგასი (50) წლის მანძილზე თბილისში, საგარეჯოში, სოხუმში, ჩიტაში (ჯარში), მოსკოვში, კიევში, ლვოვში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში, თელავში, თელ-ავივში, ანკარაში, ლონდონში, ოქსფორდში და სხვა ქალაქებში დაწერილი ფრაზები, ჯამში 850-სტრიქონიანი პოემა.

ამჟამად გთავაზობთ ახალი პოემის დასაწყისს, მთლიანად კი ეტაპობრივად გამოვაქვეყნებ 525-ვე ვაზის ჯიშების ხსენებით, ადგილმდებარეობით და ვაზის ამეტყველებით, სათაურით **„ვითა ძმა შოთა ვაზისა“**

ჯიში მწვანე მაქვს ვაზისა, მანავი კიდევ მხარეო,
გადავიარე ქვეყნები, მსოფლიოც მოვიარეო,
დავდივარ, დავალ, სიცოცხლის ჯერ დილა გავიარეო,
მანაველებო, ნაღვაწი სალხინოდ მაიხმარეო.

ხიხვი ვარ თელავს ნახარი, უფლისგან მირონცხებული,
მოწითლო კუმშა მტევნებით, კახეთით გავრცელებული,
საამო ღვინის მომძღვნელი, თამარ მეფისგან ქებული,
ჯანანურითა ვყოფილვარ ოქროს ხანს დაღვინებული.

ვაზს ვეკითხები, მიამბე, რატომ, რისთვისა სტირიხარ,
მოამაგე ხარ ხალხისა, შენთან მოსვლითა გულს ვიხარ,
ფოთლით რომ ნიახურს გავხარ, ვენახში მუდამ წინ დგახარ,
მწადის რომ ვაზმა წარმოთქვას: ღვინოვ ქართულო, ძვირი ხარ!

ბევრი ვიფიქრე, რუსთველო, სიკეთით, არა ჯავრითა,
უკვდავად როგორ იქეცი სახელოვანი გვარითა?
ვხსენი და ვენახს ამოვხსენ რიგებში ვაზთა ჯარითა,
დალოცვილი ხარ ღვთისაგან ნინოს ვაზისა ჯვარითა!

კვალსა გონებით გავყევი, მადლობელი ვარ თავისა,
ვარსკვლავ მაგვარი ძმაც ვპოვე შენი და არა სხვაისა,
თან გამოვნახე ამინდი საუკეთესო თესვისა,
ძმადნაფიცი ხარ ვაზისა, გაუხმობელი ფესვისა.

რქაწითელი ჯიშით ლაღობს, შემიდგი გვერდში სარიო,
შემოვეხვევი შვილივით, ვეღარ გადამტეხს ქარიო,
გამიფხვიერეთ ფესვები, ავაღორძინო ზვარიო,
რომ აღტაცებით ვატარო სამშობლოს დროშის ტარიო.

მსხმოიარობით, გემოთი მუდამ ვარ შესაშურიო,
ბადაგიანი ღვინოა სასმელად დასაშურიო,
გრძელმარცვლიანი მტევნები ჯიშია ბუდეშურიო,
გადაკიდების მიზეზი ერთადერთია – შურიო.

წუთისოფელმა მასწავლა გზა მთისა, ბარის, ველისა,
ამბებიც ბევრი მიამბო ჩვენ მიწა-წყლისა ძველისა,
თურმე წესადაც გვქონია მტრობა კაცისა ქველისა,
გარეწრის თვალის მოკვრასა მიჯობს დანახვა გველისა.

ვერ შეგვაშინებს ვერასდროს ვერცა ნაკბენი გველისა,
ვერცა ზრახვები ავისა, უვიცისა და მწველისა,
გულს მუდამ აგვიკანკალებს სიტყვები არაგველისა
კრწანისის ველზე ნათქვამი, დღევანდელ დღისაც მშველისა.

შემოვუაროთ სამშობლოს, შევიგრძნოთ შიში შველისა
და არა მტრისა უზირის, ოხრისა, დამაწყევლისა,
მოწადინებით გავწიოთ უღელი ერის მწევლისა,
წახალისდება მოწაფეც ნაღვაწის დამნახველისა.

კვლავ მოგახსენებთ არაკსა, ამბავსა ენაწყლიანსა,
აზრსა და ფიქრსა შაირით ნაწყვეტსა, არა მთლიანსა,
ვგმობ ღვინოს გაწყალებულსა, მოყვარეს ორგულიანსა,
მეც გიდასტურებთ ამბავსა ცნობილსა, ათასწლიანსა.

ერთხელ ვენახს მიმავალმა გველი ვნახე შხამიანი,
გულმა მითხრა, ნუ მოჰკლავო, ეგეცაა საქმიანი,
სხვა რამ ქენი, სხვა იღონე, თუნდაც გერგოს სამიანი,
ნიჭი სდომია, მიუხვდე, ვინაა ადამიანი.

ვაზო ნაზო, მოკაზმულო, ზიარებით ნაზიარო,
მიტომ გფურჩნი, გეფერები, ღვინო მქონდეს საზიარო,
ყმასა, მოყმეს, მოყვარესა, ყველას ტკბილად ვაზიარო,
შენზე აზრები, მიზნები მეზვრეებს გავუზიარო.

ვაზო ლამაზო, მე შენთან მოვდივარ ფიქრის მსახავად,
უხვი მტევნების საცქერად, ნაცრის არ მოსანახავად,
საშაიროდა კიდევაც და არა სავაგლახავად,
ვენახში შრომა კაცისა ლხინია დასანახავად.

სიმწრით ვაჟღერებ სატკივარს, ქვეყნის წყლულს ჩვენსა წილადა,
სოფელს მივხედოთ, იცლება, გავითავისოთ ვალადა,
სიცოცხლის ფესვი სამშობლოს გავუფხვიეროთ ფრთხილადა,
მწარედ ნათქვამი სიმართლე სჯობს ტყუილს ნათქვამს ტკბილადა.

მწარედ მიტომ წაგიკითხეთ, გზები ერთად გამოვნახოთ,
დღესვე, სწრაფად, დიდკაცურად მას საშველი მოვუნახოთ,
ერთი-ორი თქვენც მითხარით, სად წავიდეთ, ვინა ვნახოთ,
რომ ეს ჭირი სატკივარი შვილს არასდროს შევუნახოთ.

არას ვიტყვი საკვეხელსა, დავძენ მხოლოდ საქებელსა,
შევხარ შაირს დაშაქრულსა, ღამის ტკბილ გამთენებელსა,
კაცსა ერთგულსა, ალალსა, მეცნიერსა და მცნებელსა,
ხამს გაუმარჯოს ღვინოსა, სუფრისა მამშვენებელსა.

მაღალო ღმერთო, გვიბოძე ხვავი, ბარაქა, შენება,
კიდევ და კიდევ იდეა, მრავალი გამოგონება,
თუნდაც რომ ერთმა იჭექოს და მოჰყვეს აღფრთოვანება
იმდაგვარად, რომ სიცოცხლეს დავუგვირგვინოთ გონება.

„ყმა ფრიდონს ეტყვის: ისწრაფვი, ვიცი, ამბისა თხრობასა,
გიამბო, ვინ ვარ, სით მოვალ, ვინათგან ჰლამი ცნობასა,
ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყვი ძმობასა,
იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო, თუცა ძლივ ღირს ვარ ყმობასა.“

შენ რო თავმდაბლად აცხადებ „თუცა ძლივ ღირს ვარ ყმობასა“,
მაშინ საბოძვარს მოგიძღვნით და აღარც გავწელ თხრობასა,
ერი და ბერი გილოცავთ შენსა და ვაზის ძმობასა,
უცხონიც მას იძახიან, მიგვიხვდნენ აზრთა წრთობასა.

შოთავ, შეგფიცეთ ვაზის ძმად, ახდა ციმციმი თვალისა,
აწ კვლავ გვასწავლე ჯილდოსთვის მოხდა სიცოცხლის ვალისა,
ნაგულისხმევი აქაა ოქროს გზა მოკლე ხვალისა,
და კიდევ ერთი უცილოდ, სად ძევს სახნისი კვალისა,
ბადაგსა გიძღვნით ენითა რვაას წლის მოსავალისა.

ღმერთო, ღმერთო, სახიერო, ძლიერო და მძლეო მძლავრო,
შენი მადლით, წყალობითა მწადს ფიქრებით არ ვიჯავრო,
დატანჯული გეაჯები, არვინ მინდა გავაჯავრო,
შოთას ძღვნილი შაირები ფონს გვირგვინით დავამთავრო.

სადაც კომლები იცლება, ესაა უბედურება,
ამის მიზეზი ერთია – მძლავრობდა უკეთურობა,
ჭირსა არ ვმალავ, ვაჟღერებ, არაა აქა ხუმრობა,
მჯერა, სატკივარს გააქრობს ქართველი ხალხის ერთობა.

გაგინუგეშებთ შაირებს, ვიცით რომ კარგიც შენდება,
მეტყვის ბრძენი გონიერი, ქებად იღე, რაც მშვენდება,
ჰოდა ვიღებ ხოტბად მეცა, საქებარი რომ გვიჩდება,
აი ესაა ნაღვაწი, დღე რო იმედით თენდება.

დღევანდელი სჯობს გუშინდელს, მტრის თვალითაცა დგინდება,
სახელი საქართველოსი რადგან ამგვარად ბრწყინდება,
გავიმეოროთ გმირობა, ერს რომ არაკად აჩნდება,
ოქროს ხანისა დადგომა კვლავაც რომ დაგვირგვინდება!

სამშობლო ჩვენი უებრო წინ მხრებით გასაწევია!
ერთად და ერთი მიზნისთვის მიღწევებს დასაწევია!
ვინაც აზრს გამიზიარებს, ზეიმზე მოსაწვევია,
ტკბილი დედ-მამა ხელებით ხვევნითა ასაწევია.

მჯერა ამინდი გამოვა, პოლიტიკურად იდარებს,
აღაზევებენ აზრებსა, ზოგი ზეგ გაიზიარებს,
დაგვიმშვენებენ შაირებს, არვინ არაფერს გვიშარებს,
ჩამოვიშორებთ გარეწრებს, მექრთამეებსა, სახედრებს,
და ამის შემდეგ სამშობლო ოქროს ხანითა იხარებს!

ეს საქართველოც ცისქვეშეთს გაკაშკაშდება მთლიანად,
თუ დავაწესებთ ყველასთვის კანონს და წესებს ფხიანად,
უსამართლობის მოსპობას, ქცევას კი ლაზათიანად,
ნატვრას ვნატრულობ მე გლეხი ქვლივიძე ომახიანად.

ვფიქრობ, ფიქრები გახდება ხვალისა მანათობელი,
რადგანაც ვარ ბუნებით ახლისა ამომცნობელი,
ისიც კი ვიცი, დასჭექავთ, ჭირია დასადნობელი,
და მოღალატე ყოველი არაა დასანდობელი!

**თამაზ ქვლივიძე**

ტელ. 599-10-43-18

## ჩვენი კაცი



# მცირე ფინალში!

**გორჯალოსანთაგან გაწბილების ფონზე ქართულ რაგბის მსოფლიო თასზე ნამუსი ახალგაზრდა მსაჯმა ნიკა ამაშუკელმა მოწმინდა, რომელმაც ჯერ ჯგუფურ რაუნდში დაადასტურა უმაღლესი დონე, ხოლო ამჯერად ხვალინდელ ბრინჯაოს ფინალზე გამოუცხადეს ნდობა და კიდეზე დანიშნეს.**

შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე ნიკა სულ 7 მატჩს მოემსახურა, აქედან სამს მთავარ არბიტრად, ამჯერად კი პრინციპულ მეტოქეთა – ინგლისისა და არგენტინის ჯახს განსჯის, რომელიც უკვე მოინათლა ისტორიულ მოქიშპეთა ახალ ომად ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებისთვის.

აქვე გაუწყებთ, რომ სატიტულო ბრძოლამდე სკანდალი აგორდა რასისტული ფრაზების გამო, რომლითაც, როგორც ირკვევა, სამხრეთაფრიკელთა ერთ-ერთი ლიდერი ნაზონგი ინგლისელ კერის ამკობდა. დიდი ალბათობით, ბოკეს საკვანძო ფიგურას ფორუმის ორგანიზატორები დისკვალიფიკაციას გამოუწერენ, რაც ახალზელანდიელთათვის კიდევ უფრო გაზრდის ფავორიტის სტატუსს.

## რეკორდი



# სეზონის სტარტზე

**გილოცავთ, გიო!**

**მართალია, იაპონური მუნდიალის შემდეგ გიორგი შერმადინმა ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ აკრიფა ოპტიმალური კონდიციები, მაგრამ ლიგა ენდესას ორგზის საუკეთესო მოთამაშემ მაინც შეძლო ახალი სეზონის პირველი საკლუბო რეკორდის დამყარება.**

ტენერიფეს ლიდერმა ეს მადრიდის რეალთან საშინაო შეხვედრაში შეძლო, რომელიც კუნძულელებმა 76:82 დათმეს.

14 წუთში მოგროვებული 4 ქულა და 1 მოხსნა მოკრძალებულად კი გამოიყურება, მაგრამ სულ ვეტერან ჯვაროსანს პირენეებზე ხანგრძლივ შთამბეჭდავ კარიერაში 733 რეალიზებული ორქულიანი დაუგროვდა, რაც ორით აღემატება გერმან გლეზის ძველ მიღწევას.

## ლეგიონერი

**დიდი საკადრო პრობლემების მიუხედავად (ოსიმენი, ანგისა) ნაპოლი ნელ-ნელა იბრუნებს ოპტიმალურ კონდიციებს და მეტ-ნაკლები წარმატებით განაგრძობს თამაშს ორ ფრონტზე, რაშიც ღირსეული წვლილი ხვიჩა კვარაცხელიას შეაქვს.**

ამჯერად ქართველმა ტალანტმა რუდი გარსიას გუნდს ბერლინში ულიდერა, სადაც კამპანიელებმა იქაური უნიონი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის პირველი წრის ფინიშზე მძაფრ ბრძოლაში 1:0 დაამარცხეს.

ტრადიციისამებრ, კვარას რამდენიმე მეურვე დარაჯობდა, რაც რასპადორისა და კამპანიას სივრცეებს უხსნიდა, ერთ ეპიზოდში კი ხვიჩამ მაინც გაიბრწყინა, თავის ფლანგზე მასპინძელთა ავსტრიელი კაპიტანი ტრამელი ჩამოიტოვა, რომელსაც მატჩის დებიუტში ყვითელი ბარათიც აკიდა და ჯაკომოს გამარჯვების გოლიც გაატანინა. ასე რომ, სავსებით ლოგიკურია, უეფამ ჯვაროსანი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ რომ დაასახელა, ხოლო მთელმა



# უეფას რჩეული

რიგმა გამოცემებმა მას ორივე გუნდის წევრთაგან უმაღლესი შეფასებები დაუწერეს.

პოპულარული ფილმის სათაურისა არ იყოს, გერმანელთა აღნიშნულ წაგებას ბერლინის დაცემაც შეგვიძლია ვუწოდოთ, რადგან დედაქალაქის კლუბი სხვადასხვა ტურნირზე ზედიზედ მეცხრედ(!) დამარცხდა, არადა, მეტოქეებს ბევრს არაფერს უთმობს, პარტენო პეიმ კი პლეი-ოფისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და 29 ოქტომბერს სერია – ა-ში კონკურენტ მილანს დაუხვდება.

**ბრაგა – რეალი 1:2. გათამაშების ცხრილი:** რეალი – 9, ნაპოლი – 6, ბრაგა – 3, უნიონი – 0 ქულა. **დანარჩენი შედეგები:** ინტერი – ზალცბურგი 2:1, გალათასარაი – ბაიერნი 1:3, მანჩესტერი – კოპენჰაგენი – 1:0, ბენფიკა – სოსიედადი 0:1, ლანსი – პსვ ეინდჰოვენი 1:1, სევილია – არსენალი 1:2.

იმავე დღეს აზიის ჩემპიონთა ლიგაში დუბლი შეასრულა **კრიშტიანუ რონალდუმ** (ალ ნასრი – დუჰაიბი 4:2).

## საშარო საქმე



# საფრთხე რეალურია

**გულშემატკივარი ინფორმირებულია, რომ საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები წარმატებით იბრძვის მისთვის პირველ მუნდიალზე მოსახვედრად, მაგრამ, რომ იტყვიან, ეშმაკს არ ძინავს და ისტორიული მიღწევის ნაცვლად შესაძლებელია ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილი გუნდი ტურნირიდან საერთოდ მოიკვეთოს.**

უკვე გაუწყეთ, რომ ჯვაროსნებსა და სომხებს ჯგუფში მათმა მეტოქეებმა – პორტუგალიამ და ფინეთმა საერთაშორისო ფედერაციაში უჩივლეს ბრაზილიელ ლეგიონერთა სიმრავლის გამო, ამ დღეებში კი პირველადი განაჩენიც გაჟღერდა, რომლის თანახმადაც ჩვენებურებს პირენეელებთან და მეზობლებს სკანდინაველებთან 0:5 დამარცხება ჩაეთვალათ, საბოლოო ვერდიქტი კი 16 ნოემბერს გასაჯაროვდება.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზად სამხრეთამერიკელთა ნატურალიზების პროცესში აღმოჩენილი დარღვევები დასახელდა, რაც ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია დანარჩენ მატჩებშიც ტექნიკური წაგებები მოგვესაჯოს, რაც პირველი ეტაპის დაუძლევლობის ტოლფასი იქნება. ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ.

## ფარიკაობა

# ბრინჯაო სტამბოლიდან

**ქართველ მუშკეტერ ქალთა ლიდერი ლიკა ჯიჯეიშვილი თბილისში გამართულ მოხმალავეთა სატელიტ ტურნირზე მოპოვებული ვერცხლის მედლით საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგში ერთბაშად 5 პოზიციით დაწინაურდა და 40,5 ქულით 39-ე ადგილამდე აღზევდა.**

დიდი ალბათობით, ჩვენი თანამემამულე კიდევ უფრო წინ წაიწევს, რადგან სტამბოლიდან, რომელმაც ანალოგიურ ასპარეზობას უმასპინძლა, ბრინჯაოთი დაგვიბრუნდა.

თურქულ ბილიკზე ჯვაროსანმა ჯგუფური რაუნდის ხუთივე ბრძოლა მოიგო 2 ადგილობრივ, ყაზახ, სინგაპურელ და ალჟირელ მეტოქეებთან, ხოლო პლეი-ოფში 2 ბულგარელისა და ყაზახის ძლევით ნახევარ-



ფინალში გავიდა, სადაც უკრაინელ ალინა კომაშჩუკთან 8:15 დამარცხდა და საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე შეაბიჯა.

## მემატიანე



# ღვაწლით მოსილი

**საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაციის დამფუძნებელსა და პირველ თავკაცს გარუნ აკოფოვს ამ დღეებში 100 წელი შეუსრულდებოდა.**

ღირსების ორდენის კავალერი და მრავალი კონკურსის ლაურეატი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯიც გახლდათ კალათბურთში, საკავშირო პრესაში კი ათეული წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ქართული გუნდების შეხვედრათა მისეული პროფესიული რეცენზიები.

უკვე საუკუნის თანატოლი ჩვენი ძვირფასი უფროსი კოლეგის ღვაწლი განსაკუთრებულ დაფასებას იმსახურებს მას შემდეგ, რაც მის მიერვე შექმნილი სამამულო სპორტის მდიდარი პირადი არქივი საჩუქრად გადასცა როგორც საყვარელ სახეობათა ეროვნულ ფედერაციებს, ისე ლელოს არქივს...

# ორიოდე სიტყვით

### რაგბი

**არგენტინელთა** ინიციატივით 2026 წლიდან ერთა თასის ახალი ტურნირი დაიწყება, სადაც რეიტინგის 12 რჩეული ითამაშებს, მათ შორის კი ბორჯღალოსნები ვერ მოხვდნენ. ისინი ჩელენჯერში, ე. წ. მეორე ეშელონში ცდიან ძალებს, ელიტაში დასაწინაურებლად კი პლეი-ოფები 2030 წლამდე არ იგეგმება.

### ძიუდო



პრესტიჟულ იაპონიის გრანდ სლემზე საქართველო უძლიერესი შემადგენლობით იჭიდავებს, მანამდე კი აბუ დაბის გრანდ სლემზე ძირითადად ახალგაზრდული გუნდით ჩაება.

გამონაკლისთაგან ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა **ვაჟა მარგველაშვილმა** ოქრო მოიხვეჭა, ლუხუმ ჩხვიმიანი კი სტარტზევე დამარცხდა.

### კალათბურთი

**გუშინ** ნბა-ს ახალი რეგულარული სეზონი მოქმედი ჩემპიონის დენვერის გამარჯვებით გაიხსნა ლეიკერსთან, ნაგეთსის ლიდერმა იოკიჩმა კი სამმაგი დუბლი მიითვალა (29 ქულა, 13 მოხსნა, 11 შედეგიანი გადაცემა!) – 119:107, ხოლო ფინიქსმა გოლდენ სტეიტი დაამარცხა – 108:104. **ბითაძე** და **მამუკელაშვილი** მარათონულ ტურნირში დღეს ჩაებმებიან.

*კვირის ყველაზე მწვავე თემებზე*



### გიორგი ზერაქიძე ლაშა ბუღაძეს:

# შენ ვარლამი ვერასოდეს გახდებოდი, ამიტომ აირჩიე დოქსოპულოს გზა!



**...უნიჭობით, უსიყვარულობით, უღმერთობით, საკუთარი არარაობით გაბოროტებული ადამიანები აგრძელებენ მორალური ფსკერის გათხრას – იქნებ ნაძირალობაში მაინც გახდნენ პირველები...**

**როგორც ლაშა ტალახაძეს არ ჰყავს ბადალი და საკუთარ რეკორდებს ხსნის, ისე აქვს შეჯიბრი მორალურ დეგრადაციაში, მხოლოდ საკუთარ თავთან ლაშა ბუღაძეს.**

**ნაც-ფაშისტებს აჰყვა შვილებზე ბულინგის უბინძურეს კამპანიაში... გენიალურ „მონანიებასთან“ გაუვლია პარალელი, და „ქართული ოცნების“ წევრებს ვარლამ არავიძის მომავალს უწინასწარმეტყველებს...**

**ლაშა, ვარლამის ანუ სააკაშვილის რეჟიმი შენნაირ დოქსოპულოებზე იდგა და დღემდე შენნაირების მხარდაჭერით სულდგმულობს!**

**მშობლებს უდანაშაულო შვილები დაუხოცეს ქუჩებში და იმათ არ ამოუღიათ ხმა მკვლელების და მწამებლების შვილების მისამართით?! შენ, როგორ ბედავ რომ შვილებს ეხები?! შენ, ამით, ახალაიაზე და ქარდავაზე უარესი რომ ხარ იმას ამტკიცებ!!! უდანაშაულო ადამიანების მკვლელობებზე, წამებაზე, ქონების მიტაცებაზე, პოლიტიკურ დევნასა და საყოველთაო თვალთვალზე ხმა არ ამოგიღია და ნაც-მოძრაობაში მარტო სააკაშვილის ახლადგახსნილი მავზოლეუმი აღმოჩნდა შენთვის მიუღებელი! ამით გგონია დისტანცირებას მოახდენ?!**

**შენ ვის ადარებ ვარლამს?! ჯალათების და მწამებლების გვერდით დგახარ! დიადი მიზნებით (ევროპული მომავალი) გინდა შენი შინაგანი გახრწნილობის შეფუთვა! სინამდვილეში შენში ერთდროულად ბუდობს ყველა ის სიმახინჯე, რაც სააკაშვილ-არავიძეს გვახსენებს ქართველებს! შენ, ვარლამი ვერასოდეს გახდებოდი, ამიტომ აირჩიე დოქსოპულოს გზა! უკვე წლებია, შენ ცდილობ ეკლესიის დანგრევას ამერიკული ცენტრების ფასად! შენ შეურაცხყოფ ჩვენს პატრიარქს! ეს შენ გინდა ურწმუნო, ამორალურ და უნიჭო საქართველოს მიაღწიო, რადგან მხოლოდ იქ ხედავ შენს ასპარეზს! ნამდვილი საქართველო კი, შენთვის მიღებელი და საძულველია! სადღეგრძელოც, სუფრაც, შვილიც, ოჯახიც, ეკლესიაც...**

**შენ რა იცი შვილისთვის თვალებში ჩახედვა რას ნიშნავს!? რა გრძნობაა ეს და რა პასუხისმგებლობა!?**

**ან სახელი და ავტორიტეტი რა იცი, რა არის? სადმე, რომ მიხვალ და იტყვიან, ეს იმ კეთილი კაცის შვილიაო... ისე იცხოვრეთ დედიან-ბუდიანად, შენ რომ გხედავენ, მამაშენის ხელმძღვანელობით „ერთმანეთის შეფურთხებით“ დაცული დიპლომი და სააკაშვილის მეხოტბეობა ახსენდებათ... რას ვიზამთ, ეგ თქვენი არჩევანი და გემოვნებაა...**

# აკადემიკოს შალვა ამონაშვილის გამოცდილება – რუსთავს!



**რუსთავის მერია, აკადემიკოს შალვა ამონაშვილთან ერთად, ქალაქის ბაგა-ბაღებში, მოზარდის განვითარებაზე მეტად ორიენტირებული მეთოდიკის დანერგვაზე მუშაობს და ცნობილ მეცნიერთან ერთად, ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს.**

პროექტი – „სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის ჰუმანიზაცია რუსთავში“, ქალაქის მერის ნინო ლაცაბიძისა და აკადემიკოს შალვა ამონაშვილის ინიციატივით ხორციელდება. პროექტის კურთხევა გუშინ შალვა ამონაშვილმა და ნინო ლაცაბიძემ, მედიათეკაში გამართულ შეხვედრაზე წარადგინეს. შეხვედრის ფარგლებში, რუსთავის მერიასა და „შალვა ამონაშვილის აკადემიას“ შორის სპეციალური მემორანდუმიც გაფორმდა.

**„რუსთავში, ჩვენ მნიშვნელოვან პროექტს ვიწყებთ. მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, წელს სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა და პრემიერის ინიციატივით ქვეყნის მასშტაბით 900-მდე ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია იგეგმება. ჩვენ კი ადგილობრივი დონეზე, როგორც უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნის მიმართულებით, ასევე მუშაობას ვიწყებთ, რომ სააღმზრდელო პროცესი საბავშვო ბაღებში, კიდევ უფრო ეფექტიანი იყოს. დღევანდელი მემორანდუმი, ჩვენი თანამშრომლების კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლებას და სკოლამდელი განვითარების მიმართულებით, სრულიად ახალი მიდგომების დანერგვას ემსახურება“,** – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

აღნიშნულ პროექტს, ქართული პედაგოგიკის ნოვატორი შალვა ამონაშვილი, პირადად უხელმძღვანელებს. პედაგოგიკასა და ბავშვთა ფსიქოლოგიაში ტრენინგკურსებს, რუსთავის ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართული 700 თანამშრომელი გაივლის.



# სახალხო დღესასწაული „შუახევობა“ აჭარაში

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ შუახევის მცხოვრებლებს დღესასწაული მიულოცა.**

დღესასწაულზე ღია ცის ქვეშ წარმოდგენილი იყო სამუზეუმო ექსპონატები, ეთნოგრაფიული ნიმუშები, დეკორატიული კუთხეები, ტრადიციული სამზარეულო. მოეწყო შუახევის ტრადიციების ამსახველი ფოტო და ხელნაკეთი ნივთების გამოფენები. ასევე, გაიმართა საპატიო შუახეველების დაჯილდოების ცერემონია. „შუახევობა“ საზეიმო კონცერტით და ფეიერვერკით დასრულდა.

# „ხაშურქალაქობა 2023“

**2023 წლის 24 ოქტომბერს „ხაშურქალაქობა 2023“ გაიმართა. ამ დღესასწაულზე ხაშურის რაიონის მუნიციპალიტეტის მოწვევით, ფესტივალის ფარგლებში ხაშურთან დამეგობრებული ქვეყნების წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ (ლიეტუვა, ლატვია, უკრაინა, ევროკავშირი).**

...დღესასწაული ჩოხოსანთა და ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლების მსვლელობით დაიწყო, შემდეგ ულამაზესი პერფორმანსით შესრულდა საქართველოს, ხაშურის, ლიეტუვას, ლატვიის, უკრაინის და ევროკავშირის ჰიმნები და საზეიმოდ გაიშალა თითოეული ქვეყნის სახელმწიფო დროშა.

საოცარ სადღესასწაულო გარემოს, უფრო ალამაზებდა ხაშურის რაიონის მეწარმეების, მხატვრების და ხელოვანების გამოფენები, ბავშვების გართობაზე ზრუნავდნენ ზღაპრულ ფორმებში ჩაცმული ანიმატორები, ასევე მიმდინარეობდა ხაშურის რაიონში არსებული ქორეოგრაფიული და ვოკალური ჯგუფების კონცერტები. კონცერტის ბოლოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა, თენგიზ ჩიტიაშვილმა ხაშურის საპატიო მოქალაქეები, სპორტსმენები და წარჩინებული მოსწავლეები დააჯილდოვა. ხაშურქალაქობა“ თბილისის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ნართებმა“ და „გუფილენდმა“ დაასრულეს ფეიერვერკების თანხლებით.

# დაუვიწყარი „კასპობა 2023“

**„კასპობა 2023“-ის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა კულტურული და სპორტული სანახაობები გაიმართა.**

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაათვალიერეს ადმინისტრაციული ერთეულის კუთხეები, ადგილობრივი მეწარმეთა მიერ გამოფენილი პროდუქცია, ხელნაკეთი ნივთები და სხვა. გორის და ატენის მიტროპოლიტმა, მეუფე ანდრიამ, შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ შაყულაშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ შეკრებილებს დღესასწაული მიულოცეს.

საზეიმო კონცერტში ადგილობრივი თვითმოქმედი ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ.



### ფოთის მერი:

# მადლობას გიხდით ღირსეული თაობების აღზრდისთვის!



**ქალაქ ფოთში, მასწავლებლის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, საზეიმო ღონისძიებაზე, 2022-2023 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგები დაჯილდოვდნენ. ქალაქის მერმა ბექა ვაჭარაძემ, ჯილდო, 10 საუკეთესო მასწავლებელს გადასცა.

„წარმატებული საქმიანობისთვის, სპეციალური სიგელით და ფულადი პრემიით საჯარო სკოლის ცხრა მასწავლებელი და კოლეჯ „ფაზისის“ ერთი პედაგოგი დაჯილდოვდა: **ეკატერინე ზარანდია** – თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი; **შალვა სარდალიშვილი** – ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქ. ფოთის №2 საჯარო სკოლის სამოქალაქოს მასწავლებელი; **ზაზა ჭანტურია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქ. ფოთის №3 საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი; **მარინა მიმინოშვილი** – ქ. ფოთის №4 საჯარო სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი; **დარეჯან რუხაძე** – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ფოთის №5 საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი; **ელენა ფარღალავა** – ქ. ფოთის №6 საჯარო სკოლის უცხო ენის მასწავლებელი; **იზოლდა ლოლუა** – ქ. ფოთის №12 საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი; **შორენა ხახუბია** – ქ. ფოთის №12 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი; **ივეტა მარგალიტაძე** – ქ. ფოთის №15 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი; **ნათელა ლაშხია** – კოლეჯ „ფაზისის“ მასწავლებელი, პროგრამა „ლაბორატორიული საქმე-მეთევზეობა“ ხელმძღვანელი.

# ავარიის შედეგად, ერთი ოჯახის ორი წევრი გარდაიცვალა...

**ახმეტის მუნიციპალიტეტში ავარია მსხვერპლით დასრულდა. შემთხვევა გუშინ ახმეტა-თელავის დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა. გარდაიცვალა ერთი ოჯახის ორი წევრი, ხოლო სამი მოზარდი მძიმედ დაშავდა. ისინი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ თელავის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა.**

# პოლიციელი კონტრაბანდაში ამხილეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი – ი.გ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით დააკავეს.**

**დანაშაული 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის ავტომობილის, საცხოვრებელი სახლისა და სამუშაო ოთახის ჩხრეკის შედეგად, დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის უაქციზო სიგარეტი, ცეცხლსასროლი იარაღები, ვაზნები, მჭიდები და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს.**



# დავნერგოთ ლატვიური სახელოვნებო განათლება?

**პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე ლატვიის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ლატვიის პარლამენტის განათლების, კულტურის და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს აგიტა ზარინა-სტურესა და კომიტეტის წევრებს შეხვდა.**

შეხვედრაზე ორი ქვეყნის პარლამენტის კომიტეტებს შორის არსებული ურთიერთობების გაღრმავებასა და თანამშრომლობაზე ისაუბრეს. ძირითადი აქცენტი ლატვიის სახელოვნებო განათლების სისტემაზე გაკეთდა, რომელიც საქართველოში მიმდინარე სახელოვნებო განათლების რეფორმისთვის წარმატებულ მოდელს წარმოადგენს.



ლატვიის პარლამენტში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურის კომიტეტის წევრი ზაია კვიციანი და ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირაკლი ყურაშვილი.

## ბელადის კიდევ ერთი ძეგლი... რუსეთში



**რუსეთში, კიროვის ოლქში, ქალაქ ორლოვის საზავშვო პარკში სტალინის ძეგლი დაიდგა.**

NEXTA Live-ის ცნობით, ძეგლის დამონტაჟება რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით მოხდა.

## ამ კარს უდიდესი ტრაგედია ახსოვს

**აშშ-ში აუქციონზე გაყიდეს იმ სახლის კარი, რომელშიც 1969 წელს ჩარლზ მენსონის კომუნის წევრებმა რომან პოლანსკის ცოლი, მსახიობი შერონ ტეიტი მოკლეს. აუქციონში 40 ადამიანი მონაწილეობდა. ერთ-ერთმა მათგანმა კარში 127 ათასი დოლარი გადაიხადა. მყიდველის ვინაობა არ საჯაროვდება.**



კარი ბევერლი ჰილსში მდებარე სახლში იყო დაყენებული, რომელიც პოლანსკიმ და ორსულმა ტეიტმა 1969 წელს რამდენიმე თვით იქირავეს. მენსონის ბანდის წევრები სახლში 9 აგვისტოს შეიჭრნენ და ტეიტი და მისი 4 მეგობარი მოკლეს. შემდეგ მათ კარზე სისხლით დაწერეს სიტყვა Pig (ღორი). ტრაგედიის შემდეგ სახლს ჰოლივუდის ვარსკვლავები ხშირად ქირაობდნენ. ბოლოს მასში ჯგუფის Nine Inch Nails ლიდერი ტრენტ რეზნორი ცხოვრობდა.



როდესაც მან 1993 წელს სახლი დატოვა, შესასვლელი კარი თან გაიყოლა. შემდეგ კარის მფლობელი რამდენჯერმე შეიცვალა. თვითონ სახლი კი 1994 წელს დაანგრიეს. მის ადგილას ახალი სახლი აშენდა.

## „სკვითური ოქრო“ – უკრაინაში

**60 მილიონი ევროს ღირებულების „სკვითური ოქრო“ უკრაინაში ბრუნდება. უკრაინის სამართალდამცავმა ორგანოებმა, ესპანეთის სამეფოს პოლიციასთან ერთად, საერთაშორისო სპეცოპერაცია ჩაატარეს. ოპერაციის დროს უკრაინის ორი და ესპანეთის სამი მოქალაქე დააკავეს.**




სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ 2014-2020 წლებში, დაკავებულებმა საბაჟო კონტროლს გვერდის ავლით უკრაინიდან უკანონოდ გაიტანეს მნიშვნელოვანი ოდენობით „სკვითური ოქრო“.

დაკავებული პირებისგან ამოღებულია ოქროს მედალიონი, ოქროს საყურეები, გულსაკიდი, ყელსაბამი. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის და ეკონომიკური უსაფრთხოების ბიუროს თანამშრომლებმა, ესპანეთის სამეფოს კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, ჩაატარეს საგამოძიებო ღონისძიებები საერთაშორისო დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილეების წინააღმდეგ. სამართალდამცავებმა საქმეში მონაწილე პირების ქმედებები დოკუმენტურად აღნუსხეს: მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები, შემფასებლები, ნოტარიუსები და დანაშაულში მონაწილე შუამავლები.

## პოლიტიკას შეეშვა და მართვის მოწმობა აიღო

**შოტლანდიის ყოფილმა პირველმა მინისტრმა, 53 წლის ასაკში პირველად აიღო მართვის მოწმობა. მან მართვის გაკვეთილებზე სიარული მარტში, შოტლანდიის მთავრობის მეთაურის თანამდებობის დატოვების შემდეგ დაიწყო და გამოცდა პირველივე ცდაზე ჩააბარა.**




სტარჯონი განმარტავს, რომ ახალგაზრდობაში მანქანის მართვის შესწავლისთვის დრო არ ჰქონდა, რადგან პოლიტიკაზე იყო ფოკუსირებული. მან ასევე თავის ინსტრუქტორს გადაუხადა მადლობა.

## პრობლემები სიხარულმა შეცვალა



**ავსტრალიაში კაცმა ლატარიაში 1,8 მილიონი დოლარი მოიგო.** მან TattsLotto-ს ჯეკპოტი კიდევ 10 ადამიანთან გაიყო. როდესაც მას ლატარიის კომპანიიდან დაურეკეს და მოგების შესახებ შეატყობინეს, გამარჯვებულმა აღიარა, რომ დილიდან ცუდი დღე ჰქონდა.

**„შოკში ვარ. წარმოდგენაც არ მქონდა. სასაცილოა, მაგრამ დღეს ცუდი დილა მქონდა, სამსახურში პრობლემები მქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა“,** – განაცხადა მან.

## დუეინ ჯონსონის ცვილის ფიგურას კანის ფერი შეუცვალეს



**პარიზში, გრევინის მუზეუმში ამერიკელი მსახიობის, დუეინ ჯონსონის ცვილის ქანდაკებას კანის ფერი შეუცვალეს.**

თავდაპირველად მუზეუმის დირექტორმა, ივ დელომიუმ ფიგურის ფერი განათებას დააბრალა და პირობა დადო, რომ ეს საკითხი გამოსწორდებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ჯონსონი პირადად ესტუმრება მუზეუმს, რათა ნახოს საჭიროა თუ არა სხვა მოდიფიკაციები.

**წარდგენის შემდეგ, ფიგურამ ნეგატიური შეფასებები დაიმსახურა. მუზეუმის სტუმრები და სოცქსელების მომხმარებლები ამბობდნენ, რომ ოსტატებმა 51 წლის მსახიობის სახის ნაკვთების გადმოცემა ვერ მოახერხეს. ბევრი კი აქცენტს იმაზე აკეთებდა, რომ ცვილის ჯონსონი ფერმკრთალი გამოვიდა. ცვილის ორეულის შესახებ საკუთარი აზრი ჯონსონმაც დააფიქსირა.**

## ბელგიაში გოგრების რეგატა გაიმართა

**ბელგიაში ტრადიციული რეგატა გაიმართა, რომელშიც გოგრებისგან დამზადებული ნავებით მონაწილეობდნენ.** რეგატა ქვეყნის ჩრდილოეთით, კასტერლიში 2008 წლიდან ტარდება. მაშინ ერთ-ერთმა ადგილობრივმა გადაწყვიტა, რომ 400-კილოგრამიან გოგრებს, რომლებიც აქ მოჰყავთ, სამზარეულოს გარდა სხვა დანიშნულებაც უნდა მოუფიქრონ. მონაწილეები გიგანტურ გოგრებს ჭრიან, რბილობს აცლიან, შემდეგ წყალში უშვებენ და რბოლას იწყებენ.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 30 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7052; ევრო - 2.8607;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2792;
100 რუბლი - 2.8827; თურქული ლირა - 0.0961;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5906;
1000 სომხური დრამი - 6.7330

**ამინდი 26 ოქტომბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +23 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +26 |
| თბილისი: | ღამე | +12, | დღე +22 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge